№34(35) 30.08.1991

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი — ფასი 40 კაპიკი — საქართველოს მენეჯერთა კავშირი

## ნომერში:

**კიდევ ერთხელ „ოქროს ტბის“ გარშემო**
წერილი, რომელიც ვილაცას გააკვირვებს, ვილაცას გააბრაზებს...
პირველი-მე-3 გვერდი

**ნიუ-იორკის საარაკო სინამდვილე**
FLASHING MEADOW, დოლარები და... მილიონობით დოლარები
მე-4 გვერდი

**ჩამნი ძმანნი იბერიელნი**
ფეხბურთზე და ფეხბურთელობაზე უზომოდ შეყვარებული თბილისელი ბიჭები
მე-6 გვერდი

**ამჯერად შამპანური „მაკლარენში“ იღვრება**
ხენას მეექვსე გამარჯვება
მე-6 გვერდი

## ტახტი „სპორტის დედოფლის“ მეფისთვის

სარბიელის 21 ივნისის ნომერში ამავე ადგილზე პლანეტის ყველაზე სწრაფი ადამიანის ფოტო მოვათავსეთ. მაშინ მომხდარი ამბის გმირი იყო ამერიკელი ლეროი ბარელი. 14 ივნისს ნიუ-იორკში გამართულ ეროვნულ ჩემპიონატში მან გაირბინა 100 მეტრიანი დისტანცია 9.90 წამში. ეს მსოფლიოს ახალი რეკორდი იყო და ბარელი გამოცხადდა სპრინტის ახალ „მეფედ“. მაშინ ფინიშზე მეორე იყო სახელგანთქმული კარლ ლუისი (9,93), რომელმაც სპეციალისტების აზრით „ჩააგდო“ სტარტი, და არა მარტო გამარჯვება, არამედ მსოფლიო რეკორდიც გაუშვა ხელიდან. უკვე მაშინ ბევრი მიმომხილველი თვლიდა, რომ ბარელის რეკორდს დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია. უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ უკვე ტოკიოში მსოფლიო ჩემპიონატზე ამ ორი ბრწყინვალე სპორტსმენის დუელი უსათუოდ რეკორდით დამთავრდებოდა. ასეც მოხდა.

მათი შეხვედრა იაპონიის დედაქალაქის ოლიმპიური სტადიონის სარბენ ბილიკზე 25 აგვისტოს შედგა. წინასწარ გარბენებში ორივე სპრინტერმა დაამტკიცა, რომ საუცხოოდ არიან მომზადებულნი. ერთი დღით ადრე, მეოთხედფინალში, ლუისის ფინიშის შემდეგ ელექტრონული წამზომი 9,80 წამზე შეჩერდა. სამწუხაროდ ეს შედეგი არ ჩაითვლება მსოფლიო რეკორდად, რადგან ქარის სიჩქარე (4,1 მ/წმ) აღემატებოდა ნორმას. მაგრამ, სწორედ მაშინ გაჩნდა რწმენა, რომ რეკორდი მაინც შედგება.

და აი ფინალი. ეს იყო ყველაზე ფანტასტიკური და ყველაზე სწრაფი გარბენი მთელ ისტორიაში. წარმოიდგინეთ, რვა ფინალისტიდან ექვსმა დისტანცია ათ წამზე ნაკლებ დროში დაფარა. ფინიშთან მეოთხე იყო ინგლისელი ლინფორდ კრისტი, რომელმაც ევროპის რეკორდი გააუმჯობესა — 9,92. ბარელმა აჩვენა — 9,88. ეს მისსავე მსოფლიო რეკორდს აღემატებოდა. მაგრამ ამ საღამოს მას არ ეწერა გამარჯვება. იმიტომ რომ მის გვერდით, უფრო სწორად ოდნავ წინ იმყოფებოდა ლუისი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, კარლი კი არ მირბოდა, არამედ მიფრინავდა. არის ახალი რეკორდი — 9,86 (1,20 მ/წმ)! სწორედ ეს ფინიშია აღბეჭდილი ფოტოსურათზე, რომელსაც დღეს გთავაზობთ. ამიერიდან ლუისია სპრინტის „მეფე“!

ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატი რიგით მესამეა. მასში მონაწილეებს 119 ქვეყნის 1074 სპორტსმენი და რა თქმა უნდა ყოველი მათგანი გამარჯვების იმედით ჩამოვიდა იაპონიაში. ამ იმედს არც შუბის ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენი ფინელი სეპო რეტი მალავდა. მაგრამ განგებამ სხვაგვარად ისურვა. იგი ახლოსაც კი ვერ მივიდა თავის საუკეთესო შედეგთან და მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა. მეორე ფავორიტმა მსოფლიო ექსრეკორდსმენმა ინგლისელმა სტივ ბაკლიმ კი საერთოდ ვერ შეასრულა საკვალიფიკაციო ნორმა და ფინალში ვერ მოხვდა. ჯერჯერობით ეს ყველაზე დიდი სენსაციაა ამ ჩემპიონატზე.

კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი. ლუისის რეკორდი კინაღამ საბედისწერო გახდა სახელგანთქმული ამერიკელი სპორტსმენ ჯეკი ჯოინერ-კერსისთვის. ერთ-ერთი ფინალური ნახტომის დროს მან აჩვენა 7მ 32სმ და ემზადებოდა შემდეგი ცდისათვის. სწორედ ამას დაემთხვა კარლის ფენომენალური ფინიში, რომელმაც ჯეკიც მოიყვანა ალტაცებაში. ეტყობა ემოციებმა მოადუნეს მისი ყურადღება და გარბენის დროს მან ფეხი იღრძო. ატირებული სპორტსმენი საკაცით გაიყვანეს სტადიონიდან. მისთვის საბედნიეროდ, მეტოქეებმა ვერ გააუმჯობესეს მისი შედეგი და ჯოინერ-კერსის ოქროს მედალი გადაეცა...

როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ჯეკიმ მაინც დაკარგა „ოქრო“, ჩემპიონატამდე იგი ითვლებოდა მთავარ ფავორიტად შვიდჭიდში, მაგრამ მიღებული ტრავმის შემდეგ საეჭვო გახდა საერთოდ მისი გამოსვლა სარბიელზე. მეორე დილით მაყურებლებმა მაინც იხილეს ეს ძლიერი ნებისყოფის სპორტსმენი მძლეოსნურ სექტორში. ჯოინერ-კერსიმ შესანიშნავად იასპარეზა 100მ თარჯრბენში, სიმაღლეზე ხტომაში. ბირთვის კვრაში და სამი ასპარეზობის შემდეგ საკმაოდ დამაჯერებლად ლიდერობდა. მაგრამ 200მ. გარბენის დროს მას ბედმა უმტყუნა. მეორე ვირაჟზე შესვლისას იგი დაეცა, თითქოს მოცელესო. კვლავ ცრემლები, კვლავ საკაცე... ოქროს მედალი კი წილად ხვდა საბინა ბრაუნს (გერმანია).

უკვე რამდენიმე დღე გავიდა ლუისის რეკორდის შემდეგ, ბარელი კი, როგორც ჩანს, გონს ვერ მოვიდა. მან კიდევ ერთი, არანაკლებ მტკივნეული მარცხი განიცადა, 200 მეტრზე ფინალური გარბენი მის გარეშე ჩატარდა. მსოფლიო ექს-რეკორდსმენმა ვერ აჩვენა საკვალიფიკაციო ნორმა და მედლისთვის ბრძოლას გამოეთიშა. კიდევ ერთი სენსაცია... ამ დისტანციაზე შთამბეჭდავი გამარჯვება იზეიმა ამერიკელმა მაიკლ ჯონსონმა (20,01), რომელმაც ფინიშზე სამი მეტრით გაუსწრო უახლოეს მეტოქეს. ასეთი უპირატესობა დიდი რანგის შეჯიბრებაზე არ აღნიშნულა 1936 წლის ოლიმპიადიდან, სადაც დომინირებდა სახელგანთქმული ჯესი ოუენსი.

**შალვა შალოლაშვილი**





## ...აბიტურიენტთა სასარგებლოდ

ამ დღეებში რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა ასოციაცია „ფალავანის“ დამოუკიდებელი უნივერსიტეტის განცხადება აბიტურიენტთა მიღების თაობაზე. ამას მოჰყვა საქართველოს განათლების სამინისტროს საპროტესტო წერილი: უნივერსიტეტს რეგისტრაცია ჯერ არ გაუვლია, განცხადების უფლება არ ჰქონდაო. რა მოხდა?

— მოხდა გაუგებრობა. სამინისტროსაგან სიტყვიერი თანხმობა მიღებული გვქონდა, მაგრამ, ასე ვთქვათ, ტექნიკური მიზეზების გამო რეგისტრაცია გადაიდო, — გვითხრა ასოციაცია „ფალავანის“ პრეზიდენტმა გოდერძი ველიჯანაშვილმა, — დღეისათვის ყველაფერი რიგზეა. ჩვენ უკვე დავიწყეთ საბუთების მიღება.

— **როდიდან?**

— ოცდაექვსი აგვისტოდან. ამ ორიოდე სამი დღის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ბევრს აქვს ჩვენთან სწავლის სურვილი.

— **რამდენი აბიტურიენტის მიღებას აპირებთ?**

— თუ ჯგუფები შეივსო, უნივერსიტეტში 280 სტუდენტი ისწავლის. ცხადია, ეს თვითმიზანი არ არის, გვინდა ნიჭიერი ახალგაზრდობა შემოვიკრიბოთ, თორემ სხვა შემთხვევაში ჩვენს შრომას ფასი არ ექნება. ისინი სპორტული პროფილის 14 სპეციალობაზე ისწავლიან. იჯარით ავიღეთ თბილისის მანქანათმშენებლობის კოლეჯის შენობა, რომელიც დიმიტრი უზნაძის ქუჩაზე (№70) მდებარეობს. ცხადია, მარტო ამით არ შემოვიფარგლებით. ვცდილობთ, შემოვიკრიბოთ გამოცდილი, ავტორიტეტული პედაგოგ-სპეციალისტები. ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს პროფესორმა დიმიტრი წვერავამ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგემ, პროფესორმა ანტონ ბალიაშვილმა, ამავე უნივერსიტეტის დოცენტმა ზურაბ ნაცვლიშვილმა და სხვებმა, სპორტულ დარგს უხელმძღვანელებს სახელოვანი სპორტსმენი და მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი, სხვათა შორის, უკვე გვაქვს შეთანხმება პოზნანის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის თაობაზე. მოვიწვევთ იქაურ პედაგოგებს, პოლონეთში გავაგზავნით ჩვენს სპეციალისტებს. იმედია, ჩვენი უნივერსიტეტი თავს არ შეირცხვენს.

— **როდის დაიწყება მისაღები კონკურსი?**

— ცხრა სექტემბერს და ერთი კვირა გასტანს. სწავლა, როგორც იცით, ფასიანია, მაგრამ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდებისთვის დაწესებულია შეღავათები. სწავლის საფასურის გადახდა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშსწორებით, ისე გადარიცხვით.

ესაუბრა **შოთა ჟულუხაძე.**

## კვალი „ოქროს ტბაზე“

ახლა ისეთ რამეს ვიტყვი, ვილაცას გაუკვირდება, ვილაცა გაბრაზდება, ვილაცას ეწყინება: მე იმათ შორის ვიყავი, ვისაც ეჭვი ეპარებოდა წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატის საქართველოში გამართვის მიზანშეწონილებაში, თუმცა ამაზე საჯაროდ არსად არაფერი მითქვამს და დამიწერია. მართალია, ჩემპიონატმა ზარ-ზეიმით ჩაიარა, სტუმარ-მასპინძლები, როგორც გამოხმაურებიდან ირკვევა, მეტწილად კმაყოფილნი დარჩნენ, მაგრამ აზრი არ შემიცვლია და ქუდი ცაში არ მისროლია. ამგვარი განცხადება მკითხველმა ახირებაში რომ არ ჩამითვალოს, რასაკვირველია, უნდა საბუთი მოვიძიო და როგორმე „თავი ვიმართლო“. ვიდრე ამას გავაკეთებდე, თქვენს ყურადღებას რამდენიმე უთუოდ ანგარიშგასაწევ მომენტს მივაპყრობ. ევროპის ჩემპიონატი თავისთავად უაღრესად პრესტიჟული შეჯიბრებაა, მასპინძლობის მსურველი

(დასასრული მე-3 გვერდზე)

TBILISI OLYMPIA 1992

ჟურნალისტურ-სპორტული ავტოექსპედიციის საორგანიზაციო კომიტეტი ჟურნალისტებს იწვევს პრესკონფერენციაზე, რომელიც ოთხშაბათს, 4 სექტემბერს გამომცემლობა „სამშობლოს“ ძეოთხე სართულზე მდებარე დარბაზში ჩატარდება. დასაწყისი 17 საათზე.

# ბრძოლაში ჩაებნენ უმაღლესნი

საქართველოს თასის გათამაშების 1/32 ფინალურ შეხვედრათა საბოლოო შედეგები:

მერანი (თბილისი) — გარეჯი (საგარეჯო) 2:2; 0:1.

ჩელა (დარჩელი) — შევარდენი (ზუგდიდი) 3:2; 0:3.

სალხინო (მარტვილი) — იმედი (ლაითური) 2:1; 2:3.

ანცი (თბილისი) — არმაზი-90 (თბილისი) 2:2; 1:2.

ეგრისი (სენაკი) — სიონი (ბოლნისი) 2:2; 1:3.

ქართლი (გორის რ-ნი) — არაგვი (დუშეთი) 3:0; 0:1.

სამეგრელო (ჩხოროწყუ) — არმაზი (მცხეთა) 3:3; 0:1.

გურია-2 (ლანჩხუთი) — მალაროელი (ჭიათურა) 1:1; 0:3.

ივერია (ხაშური) — ბახმარო (ჩოხატაური) 3:0; 0:4.

ჭაბუკიანი (ჭაბუკიანი) — საპოვნელა (თერჯოლა) 3:2; 2:4.

სქური (წალენჯიხა) — ერწუხი (წნორი) 0:1; 2:2.

ქარელის „იბერია“ განმეორებით შეხვედრაში არ ჩავიდა ყვარელში „დურუჯთან“ სათამაშოდ. პირველ შეხვედრაში ქარელელებმა „დურუჯის“ ფეხბურთელები სასტუმროს გარეშე დატოვეს. ამგვარად, შემდეგ ეტაპზე გავიდა ყვარელის „დურუჯი“.

1/16 ფინალიდან შეჯიბრებაში ჩაერთვებიან უმაღლესი ჯგუფის გუნდები. პირველი შეხვედრები 3 სექტემბერს გაიმართება. კენჭისყრის შედეგები:

სამგურალი — სიონი
მერცხალი — მზიური
ამირანი — ბახმარო
კოლხეთი — გარეჯი
სულორი — შევარდენი
მალაროელი — სალხინო
ქუთაისი — გორდა
ქართლი — გურია
იბერია — მრეტები
მარგვეთი — კოლხეთი-13
ალაზანი — ბათუმი
შევარდენი-06 — ცხუმი
სანავარდო — არმაზი-90
ერწუხი — ოდიში
საპოვნელა — დილა
არმაზი — დურუჯი



გია ახალაძის ფოტო

III ტური. „მრეტები“ — „გურია“ 0:3

## ეროვნული ჩემპიონატი

### III ტური

მრეტები — გურია 0:3
ქოლხეთი-13 — ამირანი 3:1
მარგვეთი — კოლხეთი 1:1
ცხუმი — სულორი 5:1
ოდიში — შევარდენი-06 2:1
გორდა — მზიური 5:0
ალაზანი — მერცხალი 4:1
სამგურალი — დილა 3:1

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გორდა | 3 | 3 | 0 | 0 | 10:0 | 9 |
| 2. ცხუმი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:3 | 9 |
| 3. გურია | 3 | 2 | 0 | 1 | 10:6 | 6 |
| 4. ქუთაისი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 6 |
| 5. ოდიში | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| 6. იბერია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| 7. ალაზანი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| 8. მზიური | 3 | 2 | 0 | 1 | 3:8 | 6 |
| 9. კოლხეთი-13 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 10. სულორი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:7 | 4 |
| 11. მრეტები | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| 12. სამტრედია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| 13. დილა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 14. სამგურალი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| 15. მარგვეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:3 | 2 |
| 16. ბათუმი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| 17. შევარდენი-06 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| 18. კოლხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:9 | 1 |
| 19. მერცხალი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:8 | 1 |
| 20. ამირანი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |

შენიშვნა: I ტურის მატჩი ლანჩხუთის „გურიასა“ და ოჩამჩირეს „ამირანს“ შორის დამთავრდა 6:1 და არა 6:0, როგორც „სარბიელის“ წინა ნომერში ეწერა.

# ქუთაისო, ქუთაისო...

მესამე ტურის ყველაზე თვალშისაცემი მოვლენა, სამწუხაროდ, ისევ მაყურებელთა დებოში იყო. „ქუთაისისა“ და „იბერიის“ ჩაშლილი მატჩი ტელევიზიით აჩვენეს და ამდენად მასზე აღარ შევჩერდებით, მხოლოდ იმას დავძენთ, რომ აყალმაყალი ქუთაისში პირველად არ მოხდა. ფეხბურთის ფედერაცია დღემდე ითვალისწინებდა ამ ქალაქის დიდ ღვაწლს ქართული ფეხბურთის განვითარებაში და ლოიალურად იქცეოდა გუნდის მიმართ. დღეს, როდესაც აშკარაა, რომ საფეხბურთო ხულიგნობის ატანა აღარ შეიძლება, მოსალოდნელია, რომ სანქციები გამკაცრდება.

არ შედგა შეხვედრა ბათუმში, სადაც ადგილობრივ კლუბს „სამტრედია“ უნდა მიეღო. ბათუმელები თურქეთში ატარებენ საქველმოქმედო თამაშებს (შემოსავალი მიწისძვრით დაზარალებულთ გადაერიცხებათ) და ამდენად ეს მატჩი გადადებულია.



# ისევ კარპოვი და სხვები

თითქმის ორი კვირა დუღდა საჭადრაკო ცხოვრება ბრიუსელში. მეოთხედფინალური მატჩების მონაწილე მოჭადრაკეები მდიდრული „სამეფო ოტელის“ მცირე დარბაზში თამაშობდნენ. ოთხივე წყვილი ერთ სცენაზე ისხდა. დიდძალი მაყურებელი ორთაბრძოლების მსვლელობას თვალს ადევნებდა ელექტროსადემონსტრაციო დაფების მიხედვით. მათთვის აგრეთვე ცალკე დარბაზში ცნობილი დიდოსტატები საჯაროდ აანალიზებდნენ პარტიებს. სხვათა შორის, შეჯიბრებას მრავალი გამოჩენილი მოჭადრაკე ესწრებოდა. მაგალითად, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი, რომელსაც 17 აგვისტოს 80 წელი შეუსრულდა.

მატჩებს ფართოდ აშუქებდნენ ჟურნალისტები. გამოდიოდა სპეციალური ბიულეტენიც. იყო სიახლე პრეს-ცენტრში: თითო დაფას ორი მონიტორი „ემსახურებოდა“. ერთზე, როგორც წესი, პარტიის პოზიცია „იდგა“, მეორეზე კი მხოლოდ მოჭადრაკეებს უჩვენებდნენ, მათ მიხვრა-მოხვრას, განცდებს, რაც მიმომხილველებს დამატებით ინფორმაციას აძლევდა.

პირველი დამთავრდა ტიმან (ჰოლანდია) — ვიქტორ კორჩნოის (შვეიცარია) შეხვედრა. გაიმარჯვა ტიმანმა — 4,5:2,5 (+2-0=5). ჰოლანდიელ დიდოსტატს 7 პარტია ეყო მიზნის მისაღწევად (თითოეულ მატჩში 8 პარტია თამაშდებოდა). პირველ პარტიაში ყაიმის შემდეგ ტიმანმა ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო, რამაც ფაქტობრივად გადაწყვიტა მატჩის ბედი. 60 წლის კორჩნოი ზედმეტად ღელავდა, ხშირად იყო ცაიტნოტში, რაც მარცხის ძირითადი მიზეზი შეიქნა.

უმძაფრესი ბრძოლა გაჩაღდა კარპოვსა და 21 წლის ინდოელ ანანდს შორის. მატჩში სრულებით არ იგრძნობოდა გამოცდილი ექს-ჩემპიონის უპირატესობა. საინტერესოა, რომ კარპოვი თამაშობდა სწრაფად, მარჯვედ როგორც ანანდი. იყო შემთხვევა, როცა ანანდი კარპოვზე მეტს ფიქრობდა. მან ღირსეული მეტოქეობა გაუწია კარპოვს. პირველი სამი პარტია მღელვარე თამაშის შემდეგ ყაიმით დასრულდა. მეოთხე პარტიის მოგებით კარპოვი ლიდერობას დაეუფლა, მაგრამ მეექვსე პარტიაში ანანდმა გაიმარჯვა და ანგარიშიც გაათანაბრა (3:3). მეშვიდე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მაგრამ მერვეში კარპოვს, როგორც ჟურნალისტები წერენ, ბედმა გაუღიმა და მოიგო. საბოლოოდ მან გაიმარჯვა ანგარიშით 4,5:3,5 (+2-1=5).

ცხადია, ახალგაზრდა ანანდს არ ეყო გამოცდილება, მაგრამ ფაქტია, რომ მისი სახით თანამედროვე ჭადრაკს დიდი მომავლის მქონე მოჭადრაკე ჰყავს. საინტერესოა, რომ მატჩის დამთავრებისას, კარპოვმა თავის სიძნელეებში ბრალი დასდო... გარი კასპაროვს. საქმე ისაა, რომ ინდოელ ყმაწვილს ეხმარებოდა დიდოსტატი მიხეილ გურევიჩი, მსოფლიო ჩემპიონის ერთ-ერთი სეკუნდანტი.

ზედმეტად თავდაჯერებული შეუდგა ბრძოლას ბორის გელფანდი (სსრ კავშირი). მან მოუგო შორტს (ინგლისი) პირველი პარტია, რამაც იგი „ცაში აიყვანა“. მაგრამ შორტი არ შეცბა და ზედიზედ ორი გამარჯვებით უპასუხა. შემდგომ გელფანდი ამაოდ ცდილობდა ჩარხის შემობრუნებას. ყაიმის მეტს ვერ აღწევდა. მატჩი კი იწურებოდა. ამიტომ გელფანდმა თავი გამოიდო მერვე პარტიაში. მაგრამ ზედმეტად რისკიანმა თამაშმა იგი „გატეხილ გობთან“ დატოვა. გაიმარჯვა შორტმა — 5:3 (+3-1=4).

ბოლოს დამთავრდა ივანჩუკ-იუსუპოვის უკიდურესობამდე დაძაბული ორთაბრძოლა. გამარჯვებულის გამოსავლენად მათ არ ეყოთ 8 პარტია. საჭირო შეიქნა დამატებითი მიკრომატჩის დანიშვნა.

თავიდან იუსუპოვი დაწინაურდა (მეორე პარტია მოიგო), მაგრამ ივანჩუკმა არ დააყოვნა რევანში (მოიგო მესამე პარტია). მან იუსუპოვს მეხუთე პარტიაშიც დააყრევინა ფარ-ხმალი და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ივანჩუკი ახლოსაა სანუკვარ მიზანთან. მაგრამ ჭადრაკის ქალღმერთმა კაისამ ზურგი შეაქცია მას მერვე პარტიაში, რომელიც იუსუპოვმა მოიგო და ანგარიში გათანაბრდა — 4:4 (+2-2=4). ივანჩუკმა ვერ გაუძლო ამ ფსიქოლოგიურ დარტყმას და ადვილად წააგო (0,5:1,5) დამატებითი მიკრო-მატჩი. საერთო ჯამში გაიმარჯვა არტურ იუსუპოვმა — 5,5:4,5 (+3-2=5).

ამრიგად, ნახევარფინალში ბრძოლას განაგრძობენ ანატოლი კარპოვი, იან ტიმანი, ნაიჯელ შორტი და არტურ იუსუპოვი. მალე გამოცხადდება მათი მომავალი შეხვედრების დრო და ადგილი.

მაშ ასე. კვლავ რჩება კითხვა: ვის შეხვდება გარი კასპაროვი 1993 წლის მატჩში?

თენგიზ გიორგაძე






ტურნირის ოფიციალური პროგრამა

# კოკა-კოლას ტურნირზე, გერმანიაში

საბჭოთა კავშირის ხელბურთის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს წარმომადგენლებს. თბილისის „ქარიშხალი“ კავშირის პირველი ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორია, მაგრამ დიდ წარმატებებს ჩავარდნაც მოჰყვა. მეტიც, ერთ დროს აღიარებული ლიდერი აუტსაიდერთა რიგებში ჩადგა და მედლების მაგივრად უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ზრუნავდა.

80-იანი წლების ბოლოს საქართველოში პოლიტიკური ძვრები მოხდა. ეს სპორტსაც შეეხო. ქართული სპორტი მთლიანად ჩამოშორდა საბჭოთა სტრუქტურებს და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა.

ქართული ხელბურთის პრობლემებისა და სამომავლო გეგმების გასაცნობად მივმართეთ თბილისის „ქარიშხალის“ მწვრთნელს გიორგი ბერიაშვილს.

— რა მიგაჩნიათ ქართული ხელბურთის ჩავარდნის მთავარ მიზეზად?

— პირველ რიგში მუშაობამ იკლო რაიონებში, საიდანაც გუნდში ყოველთვის მოდიოდა შევსება. დღესდღეობით კი „ქარიშხალში“ რაიონიდან მხოლოდ ერთი კაცია — თორდია (ზუგდიდი). მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ საქართველოს ჩემპიონატისთვის. ახლა ერთადერთი სწორი გზაა მაღალი დონის კლუბების შექმნა.

— გაქვთ თუ არა კონტაქტები უცხოეთთან?

— 1988 წელს კონტაქტი დამყარდა გერმანიის საარის მხარის გუნდთან. წელს მიგვიწვიეს ტრადიციულ ოთხთა ტურნირზე, რომელიც „კოკა-კოლას“ ეგიდით ტარდება და გერმანულ კლუბებთან ერთად გამოდიან უცხოეთის გუნდები. წელს ჩვენ მიგვიწვიეს.

ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩატარდა. ხელბურთი გერმანიაში მეორე სპორტია ფეხბურთის შემდეგ. ტურნირისთვის მზადება ჯერ კიდევ თებერვალში დაიწყეს. ამავე პერიოდში გავუგზავნეთ გუნდის მონაცემები. ხელბურთის შემდგომი განვითარებით გერმანიაში დაინტერესებულია ბიზნესმენთა გარკვეული ნაწილი, რომელიც აფინანსებენ კიდეც მას.

ტურნირი 14 აგვისტოს დაიწყო. პირველი მატჩი ნიდერვურცბახის გუნდთან გვქონდა და დავმარცხდით. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში დავამარცხეთ კალაუმასენჰაიმის გუნდი 24:21. უნდა აღინიშნოს, რომ სამივე გუნდი ბუნდესლიგაში (მაღლესი ლიგა) გამოდის. საერთოდ გერმანიაში კიდევ ორი ლიგაა: გერმანული (შეესაბამება სსრკ-ს I ლიგას) და რეგიონალური (შეესაბამება II ლიგას).

ოქტომბერ-ნოემბერში საპასუხო ვიზიტით გვეწვევიან საარის მხარის გუნდები და სამ მატჩს გამართავენ. მათ ჩამოჰყვება 10-15 კაციანი ბიზნესმენთა ჯგუფი, რომელიც საქმიან კონტაქტებს დაამყარებს რესპუბლიკის სხვადასხვა მხრივ საწარმოებთან. მატჩები ჩატარდება თბილისში, თელავსა და დასავლეთ საქართველოში (ქალაქი ჯერ არ არის ცნობილი).



თასი, რომელიც თბილისელებს გადაეცათ.

— ცენტრისგან რაიმე წინააღმდეგობას ხომ არ წააწყდომიხართ?

— სსრკ ხელბურთის ფედერაციის ბიუროკრატიული აპარატი გადაირჩია. ახალმა ფედერაციამ კი ყველანაირად შეგვიწყო ხელი კონტაქტების დამყარებაში. მან გადაწყვიტა სსრკ-ს ლია ჩემპიონატის ჩატარება და მონაწილეობა შესთავაზა იმ რესპუბლიკებს, რომლებმაც თავის დროზე უარი განაცხადეს საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაზე. კაუნასის გუნდმა თანხმობა განაცხადა, ჩვენ ერთხელ არჩეულ გზას არ გადავუხვევთ.

— თუ შეიძლება რამდენიმე სიტყვით თქვენს სამომავლო გეგმებზე.

— 1992 წელს სრულდება „ქარიშხალის“ საკავშირო ჩემპიონატზე გამარჯვების ოცდაათი წლისთავი. ჩვენ ვაპირებთ ამ თარიღის აღსანიშნავად საერთაშორისო ტურნირის მოწყობას. მაგრამ აქ გარკვეულ წინააღმდეგობას წავაწყდით კალენდრის შედგენის დროს. ჩვენ უნდა შევძლოთ ტურნირი დავამთხვიოთ უცხოეთის ქვეყნებისთვის სასურველ პერიოდს.

— წინა წლებში თბილისში ტარდებოდა ტურნირი „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. რამდენადაც ვიცი, მაშინ ეს სირთულეები არ წამოჭრილა.

— „ზარია ვოსტოკას“ ტურნირი ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ტარდებოდა და ამ ტურნირში მონაწილეობა სავალდებულო იყო. გარდა ამისა, ორგანიზატორი სსრკ-ს ხელბურთის ფედერაცია იყო და არა საქართველო. ასე რომ სანამ იგფ არ გვაღიარებს, ჩვენს წინაშე ეს პრობლემა ყოველთვის იდგება. მაგრამ ქართული ხელბურთის აღორძინებისთვის, ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ და სპორტის სამინისტროს დახმარებით ვეცდებით მაღალ დონეზე ჩავატაროთ ანალოგიური საერთაშორისო ტურნირები.

ესაუბრა
გიგა გაჩავა.

# კვალი „ოქროს ტბაზე“

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

ბევრია და ეს საკითხი ჰაიჰარად არ წყდება. საერთაშორისო ფედერაციამ არჩევანი ფოთზე შეაჩერა. ეს ფაქტი კი ბევრ რამეს ნიშნავს — უწინარესად, ჩვენი შესაძლებლობებისა და იმ ხალხის საიმედოობის აღიარებას, ვინც ფოთის კანდიდატურა წამოაყენა. ერთიც არის: სსრ კავშირში, კერძოდ საქართველოში არსებული იმდროინდელი მერყევი პოლიტიკური სიტუაციისა და იმის გათვალისწინებით, რომ მალთაყვის საწყლოსნო კომპლექსის ასაშენებლად ძალიან ცოტა დრო რჩებოდა, ევროპის წყალსათხილამურო სპორტის ფედერაცია სერიოზულ რისკზე წავიდა. იგივე ითქმის მასპინძლებზეც, რომელთა შორის მარტო საქართველოს ნუ იგულისხმებთ; თავიდან ჩემპიონატის ორგანიზატორის ფუნქცია წყალსათხილამურო სპორტის საკავშირო ფედერაციას დაევალა. მოგვიანებით კი, როცა საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, ეს უფლება რესპუბლიკურ ფედერაციას გადაეცა. პოლიტიკური გართულების ახალმა ტალღამ და ზოგიერთი მაღალი რანგის თანამდებობის პირის ორჭოფობამ ჩემპიონატი... „ჩემპიონატამდე, ორჯერ ჩაშალა“ (საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტის რომან მელიას სიტყვებია). ალბათ, უპრეცედენტო ფაქტია: ორგანიზატორებმა საერთაშორისო ფედერაციის საბოლოო ოფიციალური დასტური ჩემპიონატამდე ხუთი (!) დღით ადრე მიიღეს. ამგვარი გაუდმებელი „შტორმისა“ და უაღრესად ნერვიული ატმოსფეროს პირობებში ჩაიარა მთელმა მოსამზადებელმა პერიოდმა. ბაზის მშენებლობა და „ოქროს ტბის“ ტერიტორიის კეთილმოწყობა „დამკვრელური“ შრომის უბნად გამოცხადდა: უკან დახევა არ შეიძლება, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს (სხვათა შორის, ჩემპიონატი 40 მილიონამდე მანეთი დაგვიჯდა), შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ!

სხვა დროს, სხვადასხვა გარემოებათა გამო, არაერთ ჩვენზე მდიდარ და ჩვენზე არანაკლებ ამაყ ქვეყანას უთქვამს უარი ევროპის ჩემპიონატზე უფრო მაღალი რანგის ტურნირის მასპინძლობაზე. ჩვენ უკან არ დაგვიხევია. ფოთი გახდა საქართველოს პირველი ქალაქი, რომელსაც ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის პატივი ერგო. ჩემპიონატს მასპინძლობდა მთელი საქართველო, მაგრამ ფოთელთა თავდადება უთუოდ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. ჩემპიონატის სტუმარი — უცხოელი თუ ჩვენებური — თავს მოვალედ თვლიდა ამ მომენტისთვის საგანგებოდ გაესვა ხაზი. ფოთი ევროპული სპორტის ისტორიაში შევიდა და ეს პატარა ამბავი არ გახლავთ. ბარემ აქვე მოვაყოლებ: ჩემპიონატმა უთუოდ მძლავრი ბიძგი მისცა წყალსათხილამურო სპორტის განვითარებას საქართველოში, დიდი სპორტული ზეიმის უშუალო მონაწილე გახდა ასეულ ათასობით ადამიანი.

ცხადია, არაერთი სხვა დადებითი მომენტის გახსენება შეიძლება, მაგრამ როგორც თავში გითხარით, ამ წერილის მიზანი სხვა რამ გახლავთ: იქნებ შევძლო და ჩემი ეჭვის მიზეზები ავუხსნა მკითხველს. ევროპის ჩემპიონატის საქართველოში გამართვის იდეა იმდენად მომხიბლავი გამოდგა, რომ ისევ და ისევ იდეის ერთგულების გამო, იძულებულნი გავხდით ბევრ რამეზე დაგვეხუჭა თვალი. უწინარესად ალბათ, საქართველოს წყალთხილამურეთა ნაკრების სტატუსის თაობაზე უნდა ითქვას. აპრილში მიღებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი, ქართული სპორტის „ავტონომიზაცია“ და ჩემპიონატის მასპინძლის ტრადიციული უპირატესობანი თითქოს იმის გარანტია უნდა ყოფილიყო, რომ საქართველო შეძლებდა ცალკე გუნდი გამოეყვანა. ეს საკითხი, მართალია, წინასწარ პირობად არავის წაუყენებია და არც დასტური მოუცია ვინმეს, მაგრამ როგორც ირკვევა, ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯები არ გადადგმულა. არადა, საზოგადოებრიობის მნიშვნელოვან ნაწილს ბოლო მომენტამდე იმედი ჰქონდა, რომ ჩვენი სპორტსმენები, დანარჩენთა მსგავსად, ჩემპიონატის სრულუფლებიანი მონაწილენი იქნებოდნენ. თავს ნუ მოვიტყუებთ და უკონკურსოდ გამოსვლას „დიდ მიღწევად“ ნუ გამოვაცხადებთ. საზეიმო გახსნის ცერემონიალზე ქართული დროშის სიმბოლური გამოჩენის მნიშვნელობის გაზვიადებაც არ ივარგებს. მოდით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ: ჩემპიონატი საქართველოში საქართველოს სპორტსმენთა გარეშე ჩატარდა. სხვა საქმეა, რომ ამას თავისი მიზეზი აქვს — საქართველოს ფედერაციას ჯერ საერთაშორისო აღიარება არ მიუღია. ჩემპიონატამდე ეს საკითხი დღის წესრიგში არც მდგარა. ჩვენი მიზანი ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა იყო და არა საქართველოს სპორტსმენთა დამოუკიდებელი მონაწილეობა ამ ჩემპიონატში. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ალბათ აჯობებდა ამის თაობაზე საზოგადოებრიობა ადრევე ჩაგვეყენებინა საქმის კურსში. ხალხი დღესაც კითხულობს: გაგვაგებინეთ, ხათუნა კორკელია საპრიზო ადგილზე რომ გასულიყო, მედალს მიიღებდა თუ არაო.

ხალხი, სხვათა შორის, სხვა რამესაც კითხულობს — რატომ მოგვეცარა ხელი ჩემპიონატის კომერციულ ნაწილში? საორგანიზაციო კომიტეტის რამდენიმე წევრმა ამ კითხვას უკვე უპასუხა — ათასი უფრო მნიშვნელოვანი საქმით დაკავებულებმა, კომერციისთვის ვერ მოვიცალეთ, სპონსორები და პარტნიორები ვერ გამოვნახეთო. მართლაც ასე იყო: „ოქროს ტბის“ თავზე ჩამოწოლილი ეჭვის ღრუბელი ზედ ჩემპიონატის წინ გაიფანტა მთელი დრო და ენერგია ბაზის მშენებლობამ წაიღო. ამ და სხვა გარემოებათა გამო მოხდა, რომ ჩემპიონატზე არც ერთი უცხოელი ჟურნალისტი არ ჩამოსულა. ეს, ალბათ, პირველი შემთხვევაა ევროპის ჩემპიონატების პრაქტიკაში. უცხოეთის ტელეკომპანიებმაც შორს დაიჭირეს ჩვენი წინადადებები. ერთი სიტყვით, საკლებისა და რუსეთის ტელევიზიის არხით გასულ მწირ ინფორმაციას თუ არ ჩავთვლით, შეიძლება ითქვას, ფოთის ჩემპიონატი ინფორმაციულ ბლოკადაში აღმოჩნდა. მიზეზი ბევრია — პოლიტიკური ვითარების არასტაბილურობა, ორგანიზაციული ლაფსუსები, წყალსათხილამურო სპორტის შედარებით არაპოპულარობა. ზოგიერთები, თურმე, ცდილობენ უცხოელი კოლეგების პასიურობა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა კორპუსს გადააბრალონ. კრიტიკა მთლიანად უსაფუძვლოა-მეთქი ვერ გეტყვით, მაგრამ უცხოეთის საინფორმაციო საშუალებათა დაინტერესება უწინარესად ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის კომპეტენციაში შედის. რაც შეეხებათ ქართველ ჟურნალისტებს, მათ „ტოტალური მობილიზაცია“ გამოაცხადეს — პრესცენტრში 102-მა კაცმა გაიარა აკრედიტაცია. ყურადღებით განებივრებულნი არასოდეს ვყოფილვართ, ჩვენი ერთადერთი თხოვნა თუ სურვილი ელემენტალური სამუშაო პირობების არსებობაა. პრობლემები ფოთში ჩასვლისთანავე გაჩნდა, მაგრამ მერე, როცა უცხოელი სტუმრები პატივნაცემი დაიგულეს, ყველაფერი კალაპოტში ჩადგა (ეგ იყო, ჩემპიონატი ისე დამთავრდა, პრესცენტრში ტელევიზორი ვერ აამუშავეთ). სტუმრის პატივისცემა ქართველებს არავისგან არ გვესწავლება, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, საკუთარი თავის პატივისცემაც გვმართებს. ხაზგასმული ყურადღება სტუმართმოყვარეობის ნიშანი არ არის. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩემპიონატის დახურვის დღეს, ბანკეტზე, საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ობრი შინა იძულებული გახდა მიკროფონი აეღო და რესტორანთან შეკრებილი ზღვა ხალხისთვის მოკრძალებით ეთხოვა: ჩვენთვის ასეთი ყურადღება დიდი პატივია, მაგრამ იქნებ ინებოთ და სახლებში წაბრძანდეთო. ფოთის პორტში ეს ხალხი ჩემპიონატის ინფორმატორის განცხადებაში უნებლიე უზუსტობამ მოიყვანა. გულშემატკივრებმა, დახურვის ცერემონიალისა და კონცერტის მოლოდინში, პორტს მიაშურეს — უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ სტუმრებიც და მასპინძლებიც. ეს ფაქტი ვინმეს გასაკილავად კი არ მომიტანია, არამედ იმის საილუსტრაციოდ, რომ ზომიერება და თავდაჭერილობა საჭირო რამ გახლავთ.

ევროპის ჩემპიონატი ჩვენთვის მძიმე ტვირთი გამოდგა. ამ ტვირთის სიმძიმე მეტნაკლებად მთელმა საქართველომ გაინაწილა. საქართველოს იმ ნაწილმაც, რომელიც აგერ უკვე რამდენი ხანია ღამეს კარავში ათენებს. სხვა დროს და სხვა შემთხვევაში, ვიდრე დიდ საქმეს შევეჭიდებოდეთ, აჯობებს „საჯილდაო ქვას“ წონა მოვუსინჯოთ და არჩევანი მერე გავაკეთოთ. იმედია, ევროპის ჩემპიონატის გამოცდილება ამ შემთხვევაში კარგ სამსახურს გაგვიწევს. თუ ასე არ მოხდა, ფოთში გაწეული უზარმაზარი შრომის შედეგი ისე გაქრება, როგორც „ოქროს ტბაზე“ გავლებული კვალი.

ელგუჯა ბერიშვილი



## გულშემატკივრის ცნობარი

(გაგრძელება)

ამასთან ბუნების დაცვის ორგანიზაციებმა კატეგორიული ბრძოლა გამოუცხადეს „მტრედებზე ნადირობის მოყვარულთ“. სწორედ ამის გამო მესტენდურეებმა ცოცხალი სამიზნე (მტრედები) თიხის სპეციალური თეფშებით შეცვალეს,



შოთა ქველიაშვილი

რომლებიც ზუსტი მოხვედრის შემთხვევაში ეფექტურად იმსხვრეოდა (ადრე, თეფშებამდე, მცირე ხნით შუშის სფეროებს იყენებდნენ). მათ სპეციალურად დაქირავებული ხალხი ხელით ისროდა. კატაპულტა 1880 წელს გამოიგონა ამერიკელმა ქ. ლიგოვსკიმ. ტყვიის მსროლელები, მესტენდურეებისგან განსხვავებით, უამრავ სამიზნეს ესვრიან. ამიტომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონფლიქტი მათ არ ჰქონიათ.

მსროლელთა შორის ბევრ საინტერესო და ცნობილ პიროვნებას შეხვდებით. მაგალითად, თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელი პიერ დე კუბერტენი შვიდჯერ იყო საფრანგეთის ჩემპიონი



ტარიელ ჟღენტი

პისტოლეტის სროლაში. საკმაოდ ცნობილი მსროლელი იყო ოლიმპიური ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში ნ.ა. პანინ-კოლომენკინი. რევოლუციამდე, 1906-1917 წლების პერიოდში მან თორმეტჯერ მოიპოვა რუსეთის ჩემპიონის სახელი პისტოლეტის სროლაში. რევოლუციის შემდეგ პენინ-კოლომენკინი კიდევ თერთმეტჯერ იყო ჩემპიონი, ოღონდ უკვე საბჭოთა კავშირისა, უკანასკნელად ოქროს მედალი მან 56 წლის ასაკში მოიპოვა — 1928 წელს პირველ სპარტაკიადაზე.

ქართველ სპორტსმენებს საკმაოდ მდიდარი ტრადიციები აქვთ სროლის ორთავე სახეობაში. 70-იან წლებში სასტენდო სროლის უბადლო ოსტატად ითვლებოდა მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ტარიელ ჟღენტი. 80-იან წლებში მას ესტაფეტა ჩამოართვა მეორე შესანიშნავმა სნაიპერმა თამაზ იმნაიშვილმა, რომელიც ასევე იყო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი. ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

ტყვიის სროლის დიდი ოსტატი გახლდათ შოთა ქველიაშვილი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, მსოფლიოს რეკორდსმენი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი. მაგრამ ყველაზე დიდ ყურადღებას ჩვენს მსროლელებში, ცხადია, უბადლო ნინო სალუქვაძე იმსახურებს — ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი; მსოფლიო თასის მფლობელი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გმირი, რომლის გვარი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი სასროლო სპორტის ისტორიაში.

ტ

### ტანვარჯიში

ალბათ მაინც პარადოქსია, რომ ჯერ სახელწოდება გამოიგონეს, ამ შემთხვევაში — გიმნასტიკა, მერე კი ის, რაც ამ სახელწოდებას უნდა განესაზღვრა. ბერძნები რბენაში, ხტომაში, ტყორცნაში ან მუშტიკრივში სავარჯიშოდ სპეციალურ წამოსასხამით გამოდიოდნენ, მაგრამ სულ მალე მიხვდნენ, რომ სხვადასხვა მოძრაობის შესრულება ასე უფრო ძნელი და უხერხული იყო. მიხვდნენ და მაშინვე გადააგდეს წამოსასხამი. სიტყვა გიმნასტიკა ბერძნული „გიმნოსისგან“ წარმოდგება, რაც შიშველს ნიშნავდა (იგულისხმება მოვარჯიშე, რომელიც წამოსასხამს აღარ იყენებს და ამის გამო შიშველია).

თავდაპირველი გაგებით, გიმნასტიკა სპორტის ბევრ სახეობას შეიცავდა. დროთა განმავლობაში მას გამოეყო და დამოუკიდებელ სპორტულ დისციპლინებად ჩამოყალიბდა მუშტიკრივი, ჭიდაობა, ფარიკაობა... XX საუკუნის დასაწყისში გიმნასტიკა ერთხელ კიდევ გაძარცვეს საფუძვლიანად. ამჯერად მძლეოსნობამ წაართვა მას რბენა, ხტომა, ტყორცნა და ნუგეშად ფიზიკური ვარჯიშის რამდენიმე სპეციფიკური ელემენტი დაუტოვა. სხვათა შორის, ნიშანდობლივი გახლავთ ის, რომ გიმნასტთა (ტანმოვარჯიშეთა) ოლიმპიურ პროგრამაში ერთ დროს შეტანილი იყო ბაგირზე ცოცვა და ბაგირის გადაძალვა, ბირთვის კვრა და, ასე განსაჯეთ, შტანგის აწევაც კი.

XVIII-XIX საუკუნეებში ადამიანის ნორმალური ფიზიკური განვითარების მიზნით სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახის გიმნასტიკურ ვარჯიშებს ქმნიან. ეს ვარჯიშები, ცხადია, საკმაოდ შორსაა წმინდა ტანვარჯიშული სპეციფიკისაგან, მაგრამ რატომღაც მაინც გიმნასტიკად იწოდება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება ნოდარ ბუგუშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# FLASHING MEADOW და მილიონები

# გამარჯვებულები

ნიუ-იორკის გარეუბანში, „ფლაშინგ მიდოუ პარკის“ ტერიტორიაზე აგებულ ულამაზესი სტადიონის ბეტონის კორტებზე ორშაბათს სტარტი აიღო „გრანდ სლემის“ ჩათვლაში შემავალი ოთხი ტურნირიდან ერთ-ერთმა ყველაზე „ხნოვანმა“ — ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატმა ჩოგბურთში.

თავისი ქვეყნის პირველი ეროვნული ჩემპიონატი ახალი სამყაროს წარმომადგენლებმა 110 წლის წინ მოაწყეს იმხანად მეტად მოდური საკურორტო ქალაქის ნიუპორტის კლუბ „კაზინოს“ ბალახის კორტებზე.

1915 წლიდან ტურნირმა ნიუ-იორკში, ფორესტ ჰილსში დაიდო ბინა (20-იან წლებში ასპარეზობა სამჯერ ფილადელფიაში მოეწყო). უკანასკნელი 13 წელიწადი კი მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელებს „ფლაშინგ მიდოუს“ 32-კორტიანი (რომელთაგან 9 გადახურულია) შესანიშნავი კომპლექსი მასპინძლობს. ცენტრალური კორტის ტრიბუნები 20000 მაყურებელს იტევს. ყოველდღიურად კი თამაშებს 40000-ზე მეტი კაცი ესწრება, მიუხედავად იმისა, რომ ბილეთები ძალზე ძვირია. ასე, მაგალითად, ნახევარფინალურ და ფინალურ შეხვედრებზე კარგი ადგილების ფასი 100 დოლარამდე აღწევს.

აშშ-ს 110 ჩემპიონატში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს ასპარეზობის მასპინძლებმა — ჰელენ უილს-მუდიმ, რიჩარდ სირსმა, უილიამ ლარნედმა და უილიამ ტილდენმა, რომლებიც შვიდ-შვიდჯერ ფლობდნენ უძლიერესის ტიტულს. აღსანიშნავია ჩოგბურთის გენიოსის, „დიდ ბილად“ წოდებული ტილდენის რეკორდი — ის ზედიზედ რვაჯერ გავიდა ფინალში. 80-იან წლებში ეს შედეგი გაიმეორა ივან ლენდლმა, თუმცა მან მხოლოდ სამი ფინალის მოგება შესძლო.

აშშ-ს ღია ჩემპიონატები ჩოგბურთის სამყაროში ყველაზე მდიდარი ტურნირებია. მაგალითად, შარშან, საპრიზო ფონდმა ექვს მილიონ დოლარს გადააჭარბა, ხოლო ჩემპიონებმა გაბრიელა საბატინიმ და შარშანდელი სეზონის „აღმოჩენამ“ 19 წლის პიტ სამპრასმა საარაკო თანხა — თითოეულმა 350000 დოლარი მიიღო. საინტერესოა, რომ 1926 წელს რენე ლაკოსტმა ფორესტ ჰილსში გამარჯვებისთვის სულ 500 დოლარი „დაიმსახურა“. სამი წლის წინ მათს ვილანდერმა 180000 დოლარი „გამოიმუშავა“, შარშან კი, როგორც ხედავთ, საპრიზო თანხა ორჯერ გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ შარშანდელ გათამაშებაში მიაღწია თავის ყველაზე დიდ წარმატებას „გრანდ სლემის“ ტურნირებში თბილისელმა ჩოგბურთელმა ლელა მესხმა — იგი რვა უძლიერესს შორის მოხვდა, რისთვისაც ჯილდოდ სოლიდური თანხა 45378 დოლარი მიიღო.



ლელა მესხი

ასეთივე შედეგი აჩვენა 1974 წელს ჩვენმა საუკეთესო ჩოგბურთელმა ალექსანდრე მეტრეველმა.

საინტერესო დამთხვევაა: ორივე ქართველი სპორტსმენი მეოთხედფინალში მომავალ გამარჯვებულთან დამარცხდა. მესხმა დაძაბული ორთაბრძოლა წააგო საბატინისთან, მეტრეველს კი ტურნირის მასპინძელმა ჯიმი კონორსმა გადაუღობა ნახევარფინალისკენ მიმავალი გზა.

გია ახალაძე

## ქალები

| | |
|---|---|
| 1887 | პანსელი |
| 1888-89 | ტოუსენდი |
| 1890 | რუზველტი |
| 1891-92 | კაპილი(ირლანდია) |
| 1893 | ტერი |
| 1894 | ჰელვიგი |
| 1895 | ატკინსონი |
| 1896 | მური |
| 1897-98 | ატკინსონი |
| 1899 | ჯონსი |
| 1900 | მაკატერი |
| 1901 | მური |
| 1902 | ჯონსი |
| 1903 | მური |
| 1904 | სატონი |
| 1905 | მური |
| 1906 | ჰომანსი |
| 1907 | სირსი |
| 1908 | უოლახი |
| 1909-11 | ჰოტკინსი |
| 1912-14 | ბრაუნი |
| 1915-18 | ბიურსტედი(ნორვეგია) |
| 1919 | ჰოტკინს-უიტმენი |
| 1920-22 | მელორი |
| 1923-25 | უილსი. |
| 1926 | მელორი |
| 1927-29 | უილსი |
| 1930 | ნუტპალი(დიდი ბრიტანეთი) |
| 1931 | უილს-მუდი |
| 1932-35 | ჯეკობსი |
| 1936 | მერბლი |
| 1937 | ლიზანა(ჩილე) |
| 1938-40 | მერბლი |
| 1941 | კუკი |
| 1942-44 | ბეტცი |
| 1945 | კუკი |
| 1946 | ბეტცი |
| 1947 | ბრაფი |
| 1948-50 | დუპონი |
| 1951-53 | კონოლი |
| 1954-55 | ჰარტი |
| 1956 | ფრაი |
| 1957-58 | გიბსონი |
| 1959 | ბუენო(ბრაზილია) |
| 1960-61 | ჰერდი |
| 1962 | სმიტი(ავსტრალია) |
| 1963-64 | ბუენო(ბრაზილია) |
| 1965 | სმიტი(ავსტრალია) |
| 1966 | ბუენო(ბრაზილია) |
| 1967 | მოფიტ-კინგი |
| 1968 | უეიდი(დიდი ბრიტანეთი) |
| 1969-70 | სმიტ-კორტი(ავსტრალია) |
| 1971-72 | კინგი |
| 1973 | კორტი(ავსტრალია) |
| 1974 | კინგი |
| 1975-78 | ევერტი |
| 1979 | ოსტინი |
| 1980 | ევერტი |
| 1981 | ოსტინი |
| 1982 | ევერტი |
| 1983-84 | ნავრატილოვა |
| 1985 | მანდლიკოვა(ჩეხოსლოვაკეთი) |
| 1986-87 | ნავრატილოვა |
| 1988-89 | გრაფი(გერმანია) |





1990 საბატინი(არგენტინა)

## ვაჟები

| | |
|---|---|
| 1881-87 | სირსი |
| 1888-89 | სლოკამი |
| 1890-92 | კემპბელი |
| 1893-94 |ურენი |
| 1895 | ჰოვი |
| 1896-97 | ურენი |
| 1898-1900 | უიტმენი |
| 1901-02 | ლარნედი |
| 1903 | ჰ.დოჰერტი (დიდი ბრიტანეთი) |
| 1904 | უორდი |
| 1905 | რაიტი |
| 1906 | კლოტიერი |
| 1907-11 | ლარნეტი |
| 1912-13 | მაკლუგლინი |
| 1914 | უილიამსი |
| 1915 | ჯონსტონი |
| 1916 | უილიამსი |
| 1917-18 | მურეი |
| 1919 | ჯონსტონი |
| 1920-25 | ტილდენი |
| 1926-27 | ლაკოსტი(საფრანგეთი) |
| 1928 | კოშე(საფრანგეთი) |
| 1929 | ტილდენი |
| 1930 | დოგი |
| 1931-32 | ვაინსი |
| 1933-34 | პერი(დიდი ბრიტანეთი) |
| 1935 | ელისონი |
| 1936 | პერი(დიდი ბრიტანეთი) |
| 1937-38 | ბაჯი |
| 1939 | რიგსი |
| 1940 | მაკნეილი |
| 1941 | რიგსი |
| 1942 | შრედერი |
| 1943 | ჰანტი |
| 1944-45 | პარკერი |
| 1946-47 | კრამერი |
| 1948-49 | გონზალესი |
| 1950 | ლარსენი |
| 1951-52 | სეჯმენი(ავსტრალია) |
| 1953 | ტრაბერტი |
| 1954 | სეიქსასი |
| 1955 | ტრაბერტი |
| 1956 | როზუელი(ავსტრალია) |
| 1957 | ანდერსენი(ავსტრალია) |
| 1958 | კუპერი(ავსტრალია) |
| 1959-60 | ფრეზერი(ავსტრალია) |
| 1961 | ემერსონი(ავსტრალია) |
| 1962 | ლეივერი(ავსტრალია) |
| 1963 | ოსუნა(მექსიკა) |
| 1964 | ემერსონი(ავსტრალია) |
| 1965 | სანტანა(ესპანეთი) |
| 1966 | სტოლე(ავსტრალია) |
| 1967 | ნიუკომბი(ავსტრალია) |
| 1968 | ეში |
| 1969 | ლეივერი(ავსტრალია) |
| 1970 | როზუელი(ავსტრალია) |
| 1971 | სმიტი |
| 1972 | ნასტასე(რუმინეთი) |
| 1973 | ნიუკომბი(ავსტრალია) |
| 1974 | კონორსი |
| 1975 | ორანტესი(ესპანეთი) |
| 1976 | კონორსი |
| 1977 | ვილასი(არგენტინა) |
| 1978 | კონორსი |
| 1979-81 | მაკინროუ |
| 1982-83 | კონორსი |
| 1984 | მაკინროუ |
| 1985-87 | ლენდლი(ჩეხოსლოვაკეთი) |
| 1988 | ვილანდერი(შვეცია) |
| 1989 | ბეკერი(გერმანია) |





1990 სამპრასი

შენიშვნა: სადაურობა არ უწერიათ მხოლოდ აშშ-ის ჩოგბურთელებს.


# საქართველოს რესპუბლიკის ასოციაცია „ფალავნის“ დამოუკიდებელი უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის, შემდეგ სპეციალობებზე:

**1. სპორტული ჟურნალისტი;**

**2. ტელე-რადიო ჟურნალისტი, კომენტატორი;**

**3. გიდი;**

**4. აღმოსავლური ორთაბრძოლების (ძიუდო, კარატე) მწვრთნელი-პედაგოგი;**

**5. ქართული, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელი-პედაგოგი;**

**6. სამაშველო სამსახურის მეთოდისტი-ინსტრუქტორი;**

**7. ცხენოსნობის, სამთო და საწყლოსნო ტურიზმისა და სპორტის სახეობების, თევზაობის და ნადირობის მეთოდისტი-ინსტრუქტორი;**

**8. სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაცია;**

**9. სპორტისა და ტურიზმის მენეჯერი;**

**10. სპორტულ-გამაჯანსაღებელ ობიექტების ტექნიკური აღჭურვილობათა ექსპლუატაცია და რემონტი.**

კონკურსზე დაიშვებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები, ასაკის მიუხედავად.

კონკურსი სპეციალობების მიხედვით მოეწყობა შემდეგ საგნებში:

— ჟურნალისტიკის სპეციალობების და გიდების — ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და უცხო ენა;

— მენეჯერების სპეციალობებზე — ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და უცხო ენა;

— სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა, ბიოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა;

სპორტულ-გამაჯანსაღებელ ობიექტების ტექნიკური აღჭურვილობის და რემონტის სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ფიზიკა;

— აღმოსავლური ორთაბრძოლების, ქართული, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელი-პედაგოგის, სამაშველო სამსახურის, ცხენოსნობის, სამთო და საწყლოსნო ტურიზმისა და სპორტის სახეობების, თევზაობის და ნადირობის ინსტრუქტორ-მწვრთნელის სპეციალობებზე ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და სპეციალობა.

სწავლების ხანგრძლივობა:

— სამკურნალო ფიზკულტურასა და რეაბილიტაციის, აგრეთვე სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ტექნიკურ აღჭურვილობათა ექსპლუატაციისა და რემონტის სპეციალობაზე — ხუთი წელი;

დანარჩენ ზემოთ ჩამოთვლილ სპეციალობებზე — ოთხი წელი.

უნივერსიტეტში სწავლა ფასიანია.

**სწავლების ღირებულება წელიწადში შეადგენს:**

**— გიდის, ჭიდაობის პედაგოგ-მწვრთნელის, სამაშველო სამსახურის, ცხენოსნობის, სამთო და საწყალოსნო ტურიზმის და სპორტისა და ტურიზმის მენეჯერის, თევზაობისა და ნადირობის მწვრთნელ-ინსტრუქტორის სპეციალობებზე — 4000 მანეთი.**

**— სპორტული ჟურნალისტის, ტელე-რადიო ჟურნალისტის, კომენტატორის, სპორტულ-გამაჯანსალებელ ობიექტებზე ტექნიკურ აღჭურვილობათა ექსპლუატაციისა და რემონტის სპეციალობებზე — 5000 მანეთი.**

**— სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის სპეციალობაზე — 7000 მანეთი.**

სწავლების ფრიადოსან სტუდენტებს, III კურსიდან, ასოციაციის ფონდიდან დაენიშნებათ სტიპენდია 150 მანეთის ოდენობით, ხოლო ბოლო კურსზე გათავისუფლდებიან სწავლების ქირის გადასახადისგან.

უნივერსიტეტში შეღავათებით მიიღებიან:

უფასო სწავლებაზე — ა) განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული აბიტურიენტები;

ბ) სპორტისა და ტურიზმის ქვეკომისიის ან შესაბამისი სამინისტროს რეკომენდაციით შემოსული მაღალი კლასის აბიტურიენტ-სპორტსმენები.

სწავლის ქირის 50%-ის დაკლებით — ასოციაციის და მასში შემავალი ორგანიზაციების და უწყებების წევრი აბიტურიენტები.

სწავლების საფასურის გადახდა შეიძლება ინდივიდუალურად, ნაღდი ანგარიშსწორებით ან საწარმოებისა და ორგანიზაციების და სხვა იურიდიული პირების მიერ გადარიცხვის წესით.

მაღალკვალიფიციური ეროვნული სპეციალისტების მომზადების მიზნით უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი ექნება საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებთან.

განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ საბუთები:

1. განათლების მოწმობა (დედანი);
2. ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა №086);
3. ფოტოსურათი (6 ცალი, ზომით 3X4);
4. პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა — პირადად.

განცხადებების მიღება გრძელდება 5 სექტემბრამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა, 10 საათიდან 17 საათამდე.

მისაღები კონკურსი ჩატარდება 9 სექტემბრიდან 17 სექტემბრამდე.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო ხარჯებს ასოციაცია იღებს თავის თავზე.

**დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.**

**მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №70 (თბილისის მანქანათმშენებლობის კოლეჯის შენობაში, 1 სართული).**

**ტელ. 95-46-65; 95-21-43.**

PALAVANI • ПАЛАВАНИ

ფალავანი

# ერთს კლუს ტყუპები



რეზო და ტყუპები

დილომში, „იბერიის“ საწვრთნელი ბაზის კოხტა ეზოში ვსხედვართ. ჩემი თანამოსაუბრეა სამი ფეხბურთელი ძმა — რეზო, შოთიკო და აჩიკო არველაძეები. შესაძლოა გეჩოთიროთ მათ სახელებს ასე შინაურულად რომ ვახსენებ, მაგრამ არველაძეებთან საუბრის შემდეგ ძმების არჩილად, შოთად და რევაზად მოხსენიების ყოველგვარი სურვილი გამიქრა, მით უფრო, რომ არც სტატისტიკურ აღრიცხვას ვაწარმოებ და არც ამა თუ იმ თამაშის „მშრალ“ ანგარიშს ვწერ. უბრალოდ მსურს სამი, ფეხბურთზე და ფეხბურთელობაზე უზომოდ შეყვარებული თბილისელი ბიჭი გაგაცნოთ.

რეზო უფროსია, ის მალე ოცდაორი წლის გახდება, სწავლობს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ქიმიურზე. ტყუპები, შოთიკო და აჩიკო თვრამეტი წლისანი არიან. როგორც თავად ამბობენ, მათი ერთმანეთისგან გარჩევა ახლა უკვე შეიძლება, ადრე კი ეს შეუძლებელი იყო. ისინი უნივერსიტეტში, საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტები არიან.

## სკოლა

ბიჭებს ფეხბურთი მამამ შეაყვარა, რომელიც ჭაბუკობაში თავადაც თამაშობდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო იძულებული გახდა გულშემატკივრობას დაჯერებოდა. რეზო თერთმეტის წლის იყო „ავაზაში“ რომ მიიყვანეს, ტყუპები — ექვსის. ტყუპებს იმავე ასაკიდან ახსოვთ „დინამოს“ თამაშები. სამოცდაცხრამეტ წელს, ფინალში, გაბელიამ გაზაევს პენალტი რომ აუღო, აღტაცებული ვცეკვავდითო, იგონებენ ისინი. რეზოს მწვრთნელი ზურაბ მაისურაძე იყო, უმცროსების — ოთარ გოგოლაშვილი და ველი გოგიჩაძე. შემდეგ ტყუპები 35-ე სკოლაში გადავიდნენ. აქ მათ დათო ჩახავა და ნიკა დოლიძე ავარჯიშებდნენ. ცოტა ხნით რეზოც იმავე სკოლის გუნდში თამაშობდა, რადგან აქ სამუშაოდ მისი მწვრთნელი გადავიდა და მოსწავლეებიც გაყვნენ. რეზოსთან ერთად იყვნენ თეთრაძე, თურმანიძე, დოლიძე, კერძევაძე, ჯამარაული, ყიფიანი-უმცროსი, ყაველაშვილი. ისინი დღეს ფეხბურთელები არიან. და კიდევ იყო აწგარდაცვლილი გურამ ლორთქიფანიძე, რომელსაც ბიჭები განსაკუთრებული სითბოთი იხსენებენ.

## ეზო

— თბილისური ფეხბურთი დიახაც არსებობს და თბილისელ ფეხბურთელს სხვებისგან გამოვარჩევთ — ამბობენ ძმები. ჩვენ იმაზე კი არ ვსაუბრობთ, საქართველოში რომელი ფეხბურთი რომელს ჯობიაო, არამედ სტილზე, კოლორიტზე.

— თბილისური ფეხბურთის თამაში ეზოში უნდა შეითვისო, რადგან სკოლაში ამას ვერ ისწავლი — განაგრძობენ ისინი, — სკოლაში გასწავლიან როგორ უნდა დადგა საყრდენი ფეხი, როგორ უნდა მიიღო ბურთი მკერდზე. ყოველივე ეს პროფესიონალისთვის აუცილებელია. ეზოში კი ეს არავის აინტერესებს. იქ მაშინ ხარ ძლიერი „ავჭალურად“ თუ კენწლავ, ან ფეხებს შორის თუ უტარებ მოწინააღმდეგეს ბურთს.

სხვათაშორის შოთიკო თავიდან მეკარე ყოფილა და მეზობლის რჩევა-დარიგებით გამოსულა წინ სათამაშოდ. ბიჭები დიდი პატივისცემით საუბრობენ მამის მეგობარზე, ჯემალ ჩიმაკაძეზე.

— ეს ადამიანი, თუმცა მას სხვა პროფესია აქვს, ფეხბურთით ცხოვრობს. მას სამი წლის მანძილზე დავყავდით ბახმაროში. გვავარჯიშებდა, არაფერს გვაკლებდა, რათა ფიზიკურად მოვძლიერებულიყავით. მივყავდით სსრკ ნაკრების მწვრთნელთან მძლეოსნობაში. მას ბევრი ფეხბურთელის აღზრდაში მიუძღვის წვლილი. — იგონებენ არველაძეები.

## ტრავმა

აჩიკოს ორი წლის განმავლობაში არ უვარჯიშია. მას სერიოზული ტრავმა ჰქონდა. საჭირო იყო ოპერაცია, რომელიც ჩვენთან არ კეთდება. ოთხმოცდაცხრა წლის ექვსი დეკემბრის დილას, რთული ოპერაცია მიუნხენის კლინიკაში გაკეთდა, საღამოს კი გერმანიის ტელევიზია „ნაპოლისა“ და „ვერდერის“ შეხვედრას გადასცემდა...

## ერთად მოედანზე

გაგონილი მქონდა, ძმების ერთად გამოყვანა არ შეიძლება, სულ ჩხუბობენო.

— ეს ნაკლია, რომელიც უნდა გამოვასწოროთ. თითოეულს გვინდა, რომ ძმამ ყველაფერი უნაკლოდ შეასრულოს. უკვე დაშვებულ შეცდომას რაღას უშველი, ჯობია თამაშის მერე უთხრა, მაგრამ ემოციას ვერ ვთოკავთ. ყოველთვის ასე ვიყავით, ერთხელ... — აქ ტყუპებმა ბავშვობის ერთი ეპიზოდი გაიხსენეს, ოღონდ მერე მთხოვეს ეს არ დაწეროთო. მართალი გითხრათ ძალიან დამწყდა გული, ისეთიც არაფერი იყო... მაგრამ სიტყვა სიტყვაა. ისე, ვისაც ტოლი ძმა ჰყავს, დაახლოებით მიხვდება რაზეა საუბარი.

— მე და შოთიკო ერთმანეთს ზურგიდანაც ვხედავთ — ამბობს აჩიკო — გახედვის გარეშე ვიცი სად უნდა მივაწოდო პასი.

— რეზოსაც ისევე გრძნობთ?

— რეზო ჩვენ უკეთ გვგრძნობს, ვიდრე ჩვენ მას.

## პროფესიონალიზმი

ფეხბურთელი მხოლოდ ფეხბურთზე უნდა ფიქრობდეს, მუდმივად უნდა აკონტროლებდეს თავის წონას, რეჟიმს, აკვირდებოდეს საკუთარ თავს. ასეთია ბიჭების აზრი.

— საქართველოში საუკეთესო პირობები ამ მხრივ „იბერიაშია“, თუმცა, მოგეხსენებათ რა დროა — ამბობს რეზო, — დღეს იდეალურ პირობებში ყოფნა გამორიცხულია. ყველა ფეხბურთელს ხომ არ უმაგრებს დედ-მამა ზურგს. ზოგს დაოჯახება უნდა და ბინა არა აქვს, ზოგს სხვა რამ აწუხებს...

ძმები ამბობენ, რომ მათი საქმე ფეხბურთია და ამ გზით უნდა ემსახურონ საქართველოს.

— მე არ ვეთანხმები აზრს, თითქოს უცხოეთში სათამაშოდ წასვლა სამშობლოს სამსახურისგან გაქცევაა — განაგრძობს რეზო, — განა ქართველი ფეხბურთელი ევროპის ძლიერ გუნდში კარგი თამაშით არ გაუთქვამს სამშობლოს სახელს?

## გულშემატკივარი

არველაძეები ოცნებობენ იმ დღეზე, როდესაც ისინი სტადიონის გუგუნში, მაყურებლის შეძახილებით განმხნევებულნი დიდი საფეხბურთო სანახაობის შემქმნელები იქნებიან. ძმებს ხომ სავსე ტრიბუნების წინაშე არ უთამაშიათ, არადა მათ კარგად ახსოვთ (თავადაც უყვირიათ) „დი-ნა-მო“, „დი-ნა-მო“.

და კიდევ, საქართველოს ზოგიერთ ქალაქში, ფლანგზე გაჭრას თუ არ მოერიდე, შესაძლოა „გულშემატკივარმა“ ბოთლი გესროლოს.

ძმები თავადაც გულშემატკივრები არიან. მათი კერპია მარადონა, ფეხბურთის ჯადოქარი და მათთვის აბსოლუტურად სულერთია, მოედნის გარეთ იგი კარგად იქცევა თუ „ყირაზე დგას“

— დიეგოს თამაშები ვიდეოზე გვაქვს ჩაწერილი და ხშირად თამაშის წინ მის ნახვას დოპინგივით უმოქმედია — ამბობენ ისინი. ოღონდ:

— სტადიონზე ყიფიანის გულისთვის დავდიოდით

## ფეხბურთის გარდა

სპორტის ყველა სახეობა უყვართ, განსაკუთრებით კი ჩოგბურთი და კალათბურთი. მუსიკა — სტივ უანდერი, ბარი უაიტი, ოღონდ, ზოგმა რომ იცის მავანის და მავანის ყველა სიმღერა მომწონსო, ესე არ არიან. მთავარია სიმღერა იყოს კარგი. ბიჭები თვლიან, რომ ქართულ ლიტერატურას ყველა ქართველი უნდა იცნობდეს:

— ჩვენ ვცდილობთ კლასიკოსთა ძირითადი ნაწარმოებები წაუკითხავი არ დაგვრჩეს. კაცს გალაკტიონი უნდა ჰქონდეს წაკითხული და საყვარელი ლექსები ზეპირად უნდა იცოდეს.

მინდა არველაძეებზე საუბარი დროულად და მოხდენილად დავასრულო. საქმე ის გახლავთ, რომ მათთან სასაუბროდ ამჯერად ერთი მიზეზის გამო მივედი — სამი ძმა ერთ გუნდში უჩვეულო მოვლენაა. გაცნობის შემდეგ კი მომინდა მათზე უფრო ვრცლად მესაუბრა. იმედი მაქვს, რომ ასეთი საუბარი მომავალში შედგება და საბაბს უკვე ძმების მაღალი კლასის თამაში მოგვცემს, მით უფრო, რომ ამის ყველა წინაპირობა არსებობს.

ილია ბაბუნაშვილი



ყველაზე შედეგიანი არველაძის, შოთიკოს პირველი გოლი ეროვნულ ჩემპიონატებში

# შერისხულთა დაბრუნება

ამასწინანდელი წინასწარმეტყველება ახდა: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტსმენებს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება დართეს. ასეთია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება, რომლის პრეზიდენტმაც ხუან ანტონიო სამარანჩმა განაცხადა, რომ სოკ-ი სცნობს სამხეთ აფრიკის რესპუბლიკის ოლიმპიურ კომიტეტს.

ეს ფაქტი, ალბათ, წლევანდელი სპორტული სეზონის ერთ-ერთ უმთავრეს მოვლენად იქცა მსოფლიოში და ნიშნავს იმას, რომ სამხრეთაფრიკელი სპორტსმენებისთვის მოხსნილია ყველა ემბარგო, რომლებიც ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში გრძელდებოდა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდმა ბოლოს მონაწილეობა მიიღო რომის 1960 წლის ოლიმპიადაში. მას შემდეგ ეს ქვეყანა ოლიმპიური მოძრაობის მიღმა დარჩა, სამხრეთაფრიკელთა გარეშე ტარდებოდა საერთაშორისო შეჯიბრებების აბსოლუტური უმრავლესობა. სპორტის მხოლოდ ორ სახეობაში ილებდნენ ისინი მონაწილეობას — ჩოგბურთში და რაგბში, თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ქვეყანა ამ სახეობებშიც უცხადებდა ბოიკოტს სამხრეთაფრიკელებს.

სოკ-ი, რომელიც დაწოლას განიცდიდა აფრიკის ქვეყნებისა და კომუნისტური ქვეყნების მაშინდელი ბლოკისგან, რაც ხშირად აშკარა შანტაჟის სახეს იღებდა, იძულებული იყო გადაედგა უკიდურესი ნაბიჯი. მიზეზი ერთი იყო: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა დისკრიმინაციულ პოლიტიკას ატარებდა ქვეყნის ფერადკანიანი მოსახლეობის მიმართ, ეს კი ეწინააღმდეგება ოლიმპიური ქარტიის ჰუმანურ იდეალებს. მსგავს დაწოლას მხოლოდ სოკ-ი არ განიცდიდა — დათმობაზე წავიდნენ გავლენიანი საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციებიც: გაერო და ბრიტანეთის თანამეგობრობა.

იმისათვის, რომ გვერდი აევლოთ საერთაშორისო შეზღუდვებისთვის და მონაწილეობა მიეღოთ შეჯიბრებებში, სამხრეთაფრიკელი სპორტსმენები იძულებული იყვნენ შეეცვალათ მოქალაქეობა. ასე მოიქცნენ, თავის დროზე, ზოლა ბადი და სიდნეი მარი.

სოკ-ის ახლანდელი გადაწყვეტილება განაპირობა პოლიტიკურმა ცვლილებებმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ამან, ფაქტიურად, გზა გაუხსნა ამ ქვეყანას საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან კონტაქტების დასამყარებლად. ხუან ანტონიო სამარანჩის განცხადების მეორე დღესვე ცნობილი გახდა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას მხარს უჭერენ რაგბის, კრიკეტის, მძლეოსნობის მსოფლიო ფედერაციები. თუმცა, არსებობს გარკვეული წინააღმდეგობებიც და ეს არცაა გასაკვირი. მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში კრიკეტს და რაგბის მხოლოდ თეთრკანიანები თამაშობენ, ფეხბურთს კი — ზანგები. მიუხედავად ამისა ფიფა თანახმაა მოლაპარაკება გამართოს ამ ქვეყნის ახალშექმნილ ფეხბურთის ფედერაციასთან. ფიფა-ს პრეზიდენტის, ჟოაო აველანჟის მოულოდნელი განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი მზადაა მიანიჭოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება XXI საუკუნის დასაწყისში, აღქმული იქნა როგორც შერიგებისა და აღიარების ფაქტი.

მაშ ასე, სამხრეთაფრიკელი სპორტსმენები გამოვლენ 1992 წლის ოლიმპიადაზე. ეს მთავარია. თუმცა, სარ-ის ოლიმპიური კომიტეტი საკმაოდ სალად აფასებს თავისი სპორტსმენების შესაძლებლობებს. ცხადია, რომ საერთაშორისო კონტაქტებს ჩამოცილებული ქვეყანა სპორტის ბევრ სახეობაში ჩამორჩა მსოფლიო დონეს.

ამჟამად, ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა მძლეოსნობაში. მიუხედავად იზოლაციისა, სამხრეთ აფრიკის მძლეოსნები საკმაოდ მაღალ სპორტულ ფორმაში არიან და, სპეციალისტთა აზრით, შეუძლიათ ოლიმპიური მედლებისთვის ბრძოლა. სამხრეთაფრიკელთა მთავარი იმედია ზოლა ბად-პიტერსი, მისი ნიჭიერი მეგობარი ელანი მეიერი, მარათონელები ფრიჩა ვან დე მერვე და უილი მტოლო, აფრიკის რეკორდსმენი ას მეტრზე წინაღობებით რბენაში კარენ უილკინსონი და 400 მეტრზე წინაღობებით მორბენალი მირტლ ბოჭმა, რომელიც თავისი შედეგით მსოფლიოს პირველ ათეულში შედის.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ სოკ-ის გადაწყვეტილებამ ორგვარი რეაქცია გამოიწვია თავად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. კერძოდ, აფრიკის ეროვნული კონგრესი ნელსონ მანდელას ხელმძღვანელობით, რომელიც თვლის, რომ სოკ-მა არ უნდა შეცვალოს თავისი მკაცრი პოზიცია მანამ, სანამ მთლიანად არ დაიშლება აპარტეიდის პოლიტიკა. მაგრამ ექსპერტთა უმეტესობა მხარს უჭერს სოკ-ის გადაწყვეტილებას. მათი აზრით, საერთაშორისო სპორტულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩაბმული სამხეთ აფრიკის რესპუბლიკა უფრო ადვილად გადალახავს აპარტეიდის მემკვიდრეობას.

სოსო დათიკაშვილი,
„სარბიელის“ საკუთარი კორესპონდენტი.
აშშ, ნიუ-იორკი.

# რას იმღერებენ სამხრეთაფრიკელები?

სამხეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჯერ არ ჩამცხრალა ამ ქვეყნის სპორტსმენთა საერთაშორისო სარბიელზე დაბრუნებით გამოწვეული სიხარული, სპორტულ წრეებში კი დაიწყო დისკუსია: რომელი დროშით გამოვლენ სამხრეთაფრიკელი ოლიმპიელები გახსნის ცერემონიაზე ბარსელონაში და რომელ ჰიმნს დაუკრავენ ოლიმპიადა-92 დედაქალაქის სტადიონზე?

ერთი შეხედვით ეს პრობლემა არც უნდა იდგეს: არსებობს საქვეყნოდ აღიარებული ეროვნული დროშა და ჰიმნი. მაგრამ გამოჩნდა ტრადიციული მწვანე-ყვითელი ფერებისა და ემბლემის — გაზელის არაერთი მოწინააღმდეგე. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოლიმპიური და სპორტული კონგრესის ზოგიერთი ხელმძღვანელი თვლის, რომ ყოველივე ეს აპარტეიდის რეჟიმის აპარატის განსახიერებაა და ძველი ჰიმნით გამოსვლა არ შეიძლება. ამ შეხედულების მომხრენი თვლიან, რომ ოლიმპიადის დროს უნდა გამოიყენონ სოკ-ის დროშა და ჰიმნი.

ასეთ რადიკალიზმს ყველა როდი იზიარებს. არსებობს სხვა აზრიც: გაზელი და მწვანე-ყვითელი ფერები აპარტეიდამდე კარგა ხნით ადრე მიიღეს და მასთან არაფერი აქვთ საერთო.

ვიდრე პოლიტიკოსები კამათობენ, თავისი პოზიცია სპორტსმენებმაც გამოხატეს: „ჩემთვის, გულახდილად რომ ვთქვა, სულ ერთია, რას ჩავიცმევ და რას ვიმღერებ, — განაცხადა სარ-ის ოლიმპიურმა იმედმა, ცნობილმა მორბენალმა ზოლა ბად-პიტერსმა. — მთავარია, რომ ჩვენ საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვის საშუალება მოგვეცა“.

## საწყლოსნო სახეობები

ევროპის ჩემპიონატი ათენი ცურვა ვაჟები. თავისუფალი სტილი. ესტაფეტა 4X800მ. 1. სსრკ — 7.16,96; 2. იტალია — 7.18,80; 3. გერმანია — 7.19,13. ბატერფლაი. 100მ. 1. ვ.პულიკოვი (სსრკ) — 54,22; 2. მ. ლოპეს სუბერო (ესპანეთი) — 54,30; 3. ნრუდოლფი (გერმანია) — 54,31. კომპლექსური. 400მ. 1. ლ.საკი (იტალია) — 4.17,81; 2. მ.კოლი (გერმანია) — 4,17,86; 3. კგესნერი (გერმანია) — 4.19,16. ქალები. თავისუფალი სტილი. 200მ. 1. მ.იაკობსენი (დანია) — 2.00,29; 2. კპლევინსკი (საფრანგეთი) — 2.00,34; 3. ლ.დობრესკუ (რუმინეთი) — 2.01,77. ბრასით. 200მ. 1. ე.რუდკოვსკაია (სსრკ) — 2.29,50; 2. ბკოადუ (რუმინეთი) — 2.32,00; 3. ტ.დანგალაკოვა (ბულგარეთი) — 2.32,09. ვაჟები. თავისუფალი სტილი. 100მ. 1. აპოპოვი (სსრკ) — 49,18 (ევროპის რეკორდის გამეორება); 2. ნრუდოლფი (გერმანია) — 49,52; 3. ჯ.ლამბერტი (იტალია) — 49,57. გულაღმა. 200მ. 1. მლოპეს სუბერო (ესპანეთი) — 1.58,66; 2. ვ.სელკოვი (სსრკ) — 2.00,18; 3. დ.რიჰტერი (გერმანია) — 2.00,18. ქალები. თავისუფალი სტილი. 400მ. 1. ი.დელლობი (ნორვეგია) — 4.11,63; 2. ბკოადა (რუმინეთი) — 4.18,22; 2. კსოსი (იტალია) — 4.12,35. ესტაფეტა 4X100მ. 1. ჰოლანდია — 3.45,36; 2. გერმანია — 3.45,54; 3. დანია — 3.46,36. გულაღმა. 100მ. 1. კეგერსეგი (უნგრეთი) — 1.00,31 (მსოფლიო რეკორდი); 2. ტსაბო (უნგრეთი) — 1.01,11; 3. დ.ჰაზე (გერმანია) — 1.02,41. სინქრონული ცურვა. წყვილები 1. ო.სედაგოვა და აკოზლოვა (სსრკ) — 179,572; 2. აკაპრონი და სლევეკო (საფრანგეთი) — 174,729; 3. მ.ბოტხი და ტ.შვარტი (ჰოლანდია) — 173,351. წყალში ხტომა. მეტრიანი ტრამპლინი. ქალები. 1. ბ.ბალდუსი (გერმანია) — 282,54; 2. ილაშკო (სსრკ) — 269,52; 3. კ.შმალფუსი (გერმანია) — 238,50. კოშკი. ვაჟები. 1. ვ.ტიმოშინი (სსრკ) — 606,21; 2. დ.საუტინი (სსრკ) — 602,22; 3. რ.მორგანი (დიდი ბრიტანეთი) — 578,87. წყალბურთი. ვაჟები. პირველი ჯგუფი. იტალია — სსრკ — 12:10; ჩეხოსლოვაკეთი — საფრანგეთი — 11:9; უნგრეთი — რუმინეთი — 13:9; იტალია — რუმინეთი — 10:9; უნგრეთი — საფრანგეთი — 16:7; სსრკ — ჩეხოსლოვაკეთი — 14:10. 1. იტალია — 10; 2. სსრკ — 7; 3. უნგრეთი — 6. მეორე ჯგუფი. იუგოსლავია — საბერძნეთი — 16:7; ესპანეთი — პოლონეთი — 22:9; ჰოლანდია — გერმანია 15:15; იუგოსლავია — ესპანეთი — 14:14; გერმანია — პოლონეთი — 12:9; საბერძნეთი — ჰოლანდია — 13:10. 1. ესპანეთი — 9; 2. იუგოსლავია — 9, 3. საბერძნეთი — 6. ნახევარფინალები. ესპანეთი — სსრკ — 13:8; იუგოსლავია — იტალია — 11:9. მატჩი მესამე ადგილისათვის. სსრკ-იტალია — 11:10. ფინალი. იუგოსლავია — ესპანეთი — 11:10. 3-მეტრიანი ტრამპლინი. ქალები. 1. ი. ლაშკო — 524,97; 2. ვ. ილინა (ორივე — სსრკ) — 513,03; 3.ბ. ბალდუსი (გერმანია) — 498,03.

ცურვა. ვაჟები. 50 მ თავისუფალით. 1. ნ. რუდოლფი (გერმანია) — 22,33 (ევროპის რეკორდი); 2. გ. პრიგოდა — 22,44; 3. ვ. ტკაჩენკო (ორივე — სსრკ) და მ. ფიბენსი (დიდი ბრიტანეთი) — 22,72. 400 მ. 1. ე. სადოვი (სსრკ) — 3.49,02; 2. ა. ვოიდატი (პოლონეთი) — 3.49,09; 3. ჯ. ლამბერტი (იტალია) — 3.50,46. 1500 მ. 1. ი. ჰოფმანი (გერმანია) — 15.02,77; 2. ი. გილსონი (დიდი ბრიტანეთი) — 15.03,72; 3. ს. ვიზე (გერმანია) — 15.14,30. ესტაფეტა 4-100 მ. 1. სსრკ — 3.17,11; 2. გერმანია — 3.18,21; 3. შვეცია — 3.20,42. 100 მ გულაღმა. 1. მ. ლოპეს სუბერო (ესპანეთი) — 56,30; 2. დ. რიჰტერი (გერმანია) — 56,06; 3. ფ. შოტი (საფრანგეთი). 200 მ ბრასით. 1. ნ. ჯილინგჰემი (დიდი ბრიტანეთი) — 2.12,55; 2. ნ. როჟა (უნგრეთი) — 2.12,58; 3. ს. ლოპესი (ესპანეთი) — 2.13,40. 100 მ ბატერფლაით. 1. ფ. ესპოზიტო (საფრანგეთი) — 1.59,59; 2. რ. შუკალა (პოლონეთი) — 2.01,01; 3. ჯ. ბორდო (საფრანგეთი) — 2.01,25. 200 მ კომპლექსური. 1. ლ. სორენსენი (დანია) — 2.02,63; 2. ჯ. გესნერი (გერმანია) — 2.02,66; 3. ლ. საკი (იტალია) — 2.02,93. ქალები. 50 მ თავისუფალით. 1. ს. ოსიგუსი (გერმანია) — 25,80; 2. ჯ. პლევინსკი (საფრანგეთი) — 25,84; 3. ი. დე ბროუინი (ჰოლანდია) — 25,91. 800 მ. 1. ი. დელბი (ნორვეგია) — 8.32,08; 2. ი. ჰენკე (გერმანია) — 8.32,25; 3. ჯ. საკსი (იტალია) — 8.33,79. 200 მ გულაღმა. 1. ჯ. ეგერსეგი — 2.06,62 (მსოფლიო რეკორდი); 2. ტ. საბო (ორივე — უნგრეთი) — 2.11,42; 3. დ. ჰაზე (გერმანია) — 2.12,21. 100 მ ბრასით. 1. ე. რუდკოვსკაია (სსრკ) — 606,21; 2. დ.საუტინი (სსრკ) — 1.09,05; 2. ს. ბონდარენკო (ორივე — სსრკ) — 1.09,99; 3. ტ. დანგალაკოვა (ბულგარეთი) — 1.10,12; 100 მ ბატერფლაით 1. ჯ. პლევინსკი — 1.00,32; 2. ი. დე ბროუნი — 1.01,64; 3. ტ. ლუნდინი (შვეცია) — 1.01,80. 100 მ. 1. მ. იაკობსენი (დანია) — 2.18,87; 2. ს. ჰერბსტი (გერმანია) — 2.14,72; 3. ბ. პუგორტი (დანია) — 2.14,80. 200 მ კომპლექსური. 1. დ. ჰუნგერი (გერმანია) — 2.15,58; 2. ბ. კოადა (რუმინეთი) — 2.16,68; 3. მ. ტოლერი (გერმანია) — 2.17,48.

წყალბურთი. ქალები. მატჩი მესამე ადგილისათვის. იტალია — საფრანგეთი — 9:5, ფინალი. უნგრეთი — ჰოლანდია — 11:8.

სინქრონული ცურვა. ჯგუფები. 1. სსრკ — 178,118; 2. საფრანგეთი — 173,753; 3. იტალია — 171,889.

## ველოსპორტი

მსოფლიო ჩემპიონატი. შტუტგარტი. სატრეკო რბოლები. ქალები. ინდივიდუალური რბოლა გამოდევნებით 3კმ. 1. პ.როსნერი (გერმანია) — 3.39,884; 2. იკიპოფი (აშშ) — 3.40,379; 3. მ.კლიგნეტი (საფრანგეთი) — 3.39,601. კეირინი (პროფესიონალები). 1. მჰიუბნერი (გერმანია); 2. კგოლინელი (იტალია); 3. ფკოლასი (საფრანგეთი). საგზატკეცილო რბოლები. ქალები. გუნდური რბოლა 50კმ. 1. საფრანგეთი — 1:02.14,1; 2. ჰოლანდია — 1:02.41,5; 3. სსრკ — 1:02.51,1. ვაჟები. გუნდური რბოლა 100კმ. 1. იტალია — 1:5448,5; 2. გერმანია — 1:57.21,4; 3. ნორვეგია — 1:57.39,9. ჯგუფური რბოლა 79კმ. ქალები. 1. ლ.ვან მორსელი (ჰოლანდია) — 2:09,47; 2. იტომპსონი (აშშ) — 1.54 ჩამორჩენა; 3. ა. სიდორი (კანადა) — 2.46. 173,8კმ. ვაჟები (მოყვარულები). 1. ვ.ჟაკრინსკი (სსრკ) — 4:28.04; 2. დრებელინი (იტალია). 3. ბ ცბერგი (შვეიცარია). 252,8კმ. (პროფესიონალები). 1. ჯბუნიო (იტალია) — 6:20.23; 2. სრუკსი (ჰოლანდია); 3. მინდურაინი (ესპანეთი).

## თანამედროვე ხუთჭიდი

მსოფლიო ჩემპიონატი. სან-ანტონიო (აშშ). ფარიკაობა 1. ოკლეგიუ (საფრანგეთი) — 1030; 2. კიანგი (შვეცია). — 970; 3. ლ.შონი (კანადა) — 960. ცურვა. 1. კრუერი (საფრანგეთი) — 1312; 2. ჩტორალდო (იტალია) — 1310; 3. ფკლერკი (საფრანგეთი) — 1300. სროლა. 1. ვილიევი (ბულგარეთი) — 1195; 2. დგოდზიაკი (პოლონეთი) — 1196; 3. ბვლადუ (რუმინეთი) — 1195. კროსი. 1. მბაროსო (პორტუგალია) — 1312; 2. მკალდეცი (ჩეხოსლოვაკეთი) — 1285; 3. ე.ზენოვკა (სსრკ) — 1285. კონკური. 1. ოკლერჟო (საფრანგეთი) — 1100; 2. ტკოსაი (იაპონია) — 1100; 3. ასკრჟიპაჩეკი (პოლონეთი) — 1084. პირადი ჩათვლა. 1. ასკრჟიპაჩეკი — 5499; 2. პ.შტეინმანი (შვეიცარია) — 5476; 3. ამადარასი — 5467. გუნდური. 1. სსრკ — 16047; 2. პოლონეთი — 16037; 3. უნგრეთი — 15867. ესტაფეტა. 1. უნგრეთი — 5441; 2. პოლონეთი — 4231; 3. გერმანია — 5084.

## მძლეოსნობა

მსოფლიო ჩემპიონატი. ტოკიო. ვაჟები. 100მ. (ზურგის ქარი 1.20მ/წმ). 1. კლუისი (აშშ) — 9,86 (მსოფლიო რეკორდი); 2. ლბარელი (აშშ) — 9,88; 3. დ.მიტჩელი (აშშ) — 9,91. სიარული 20კმ. 1. მდამილანო (იტალია) — 1:19.37; 2. მ.შჩენიკოვი — 1:19.46; 3. ემისულია (ორივე — სსრკ) — 1:20.20. 1. ისედიხი — 81,70; 2. ი. ასტაპოვიჩი (ორივე — სსრკ) — 80.94; 3. ჰვაისი (გერმანია) — 80.44. ქალები. მარათონი. 1. ვ.პანფილი (პოლონეთი) — 2:29.53; 2. საამაშიტა (იაპონია) — 2:29.57; 3. კდერე (გერმანია) — 2:30.10. სიარული 10კმ. 1. აივანოვა (სსრკ) — 42.59; 2. მ.სვენსონი (შვეცია) — 43.13; 3. ს.ესაა (ფინეთი) — 43.13. სიგრძე. 1. ჯ.ჯოინერ-კერსი (აშშ) — 7.32; 2. ჰ.დრექსლერი (გერმანია) — 7.29; 3. ლ.ბერეჟნაია (სსრკ) — 7.11. ბირთვი. 1. ჰაუნ ჩჟიხუმი (ჩინეთი) — 20.85; 2. ნლისოვსკაია — 20.29; 3. ს.კრიველევა (ორივე — სსრკ) — 20.16.



# ზეიმი „მაკლარენის“ ბანაკში და... მომავალ შეხვედრამდე, ბერტრან!

მსოფლიო ჩემპიონმა აირტონ სენამ კიდევ ერთი, რიგით მეექვსე გამარჯვება იზეიმა! ბელგიის „გრან პრის“ მოგებით მან კვლავ საგრძნობლად გაუსწრო უახლოეს მდევარს ბრიტანელ ნაიჯელ მენსელს „უილიამსიდან“. საერთოდ, ბელგიის ეტაპი მნიშვნელოვანი გამოდგა „მაკლარენისა“ და „უილიამსის“ პაექრობაში. პირველმა კვლავ საგრძნობ უპირატესობას მიაღწია.

თუ გერმანიაში პირველ-მეორე ადგილები „უილიამსის“ წარმომადგენლებმა დაიკავეს და ამის აღსანიშნავად შამპანურიც შეუკვეთეს, ამჯერად „მაკლარენი“ ასველებდა „დუბლს“. მეორე ადგილზე გერჰარდ ბერგერი გავიდა. ზეიმმა მშვიდობიანად ჩაიარა, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ გუნდში არც ისე ლაღი განწყობაა. საქმე ისაა, რომ სეზონის ბოლოს „მაკლარენის“ მიტოვებას ფიქრობს თვით მსოფლიო ჩემპიონი აირტონ სენა. იგი „უილიამსს“ უმიზნებდა და ამდენად საკმაოდ მოულოდნელად გაისმა ცნობა იმის შესახებ, რომ ამ გუნდმა უკვე გააგრძელა ხელშეკრულება თავის მრბოლებთან 1992 წლის ბოლომდე. ამის თაობაზე თავისი უკმაყოფილება ბრაზილიელს არ დაუმალავს, თუმცა კატეგორიული განცხადებებისგან თავი შეიკავა.

ამასობაში ფრანგი ალენ პროსტი აბობოქრდა. მან გააკრიტიკა თავისი გუნდის „ფერარის“ ახალი მანქანაც და ხელმძღვანელობაც. აშკარა გახდა კონფლიქტის საშიშროება. ჩვენ, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ამ ამბავთან დაკავშირებული უახლოესი ცნობები, მაგრამ აშკარაა, რომ პრობლემის გადაჭრა არც ისე ადვილი იქნება.

ვიდრე უშუალოდ რბოლის პერიპეტიებზე გადავიდოდეთ, ისიც უნდა ითქვას რომ ერთ-ერთმა პილოტმა ბერტრან გაშომ თავისი „ჯორდანის“ ნაცვლად ლონდონის მახლობლად მდებარე ბრინგსტონის ციხეში ამოჰყო თავი. ამის მიზეზი გახდა ის რომ გასული წლის 10 დეკემბერს ლონდონში ყოფნისას ტაქსის მძღოლთან წაიჩხუბა და... ცრემლსადენი გაზის ნაკადი უთავაზა. მას 18 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მისმა შემცვლელმა 22 წლის გერმანელმა მრბოლმა მიჰაელ შუმახერმა საკვალიფიკაციო რბოლაში მერვე ადგილი დაიკავა. პირველი კი აირტონ სენა იყო. მეორე დრო რიკარდო პატრეზემ უჩვენა, მაგრამ იტალიელი სტარტზე მეჩვიდმეტე იყო. ამის მიზეზია ის, რომ მისი მანქანის სიჩქარეების კოლოფს არ აღმოაჩნდა უკან სვლის გადასართავი, ეს კი შეჯიბრების წესების დარღვევაა.

პატრეზეს ადგილი ალენ პროსტმა დაიკავა. ისევ სენა — პროსტი! მას შემდეგ რაც ფრანგი პილოტი საქვეყნოდ დაემუქრა სენას, რომ ერთ მშვენიერ დღეს გაუსწორდებოდა მას, ეს ორი დიდი სპორტსმენი ოფიციალურად შერიგდა. მიუხედავად ამისა ყველა დაძაბული მოელოდა სტარტის ნიშანს. საბედნიეროდ, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. სენა დაწინაურდა და მოსახვევში პირველი შევიდა. რბოლის ნახევარიც არ იყო გასული, როცა სენამ ბოქსში შეუხვია საბურავების გამოსაცვლელად, მაგრამ იქიდან გამოსული მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა. ამ მონაკვეთში რბოლას ჯერ მენსელი ლიდერობდა, შემდეგ კი — ალეზი. მათ კვალდაკვალ მიჰყვებოდა პროსტი, მაგრამ საბოლოოდ ვერ გაუძლო კონკურენციას. სენა კი მეთოდურად ინაზღაურებდა დანაკარგს და მალე წინ ერთი მეტოქეღა დარჩა — იტალიელი დე ჩეზარისი, რომელიც შეუპოვრად იბრძოდა მიღწეულის შესანარჩუნებლად. ეს დუელი რამდენიმე წრეზე გაგრძელდა და საბოლოოდ ბრაზილიელის სასარგებლოდ დამთავრდა: ერთ-ერთ ვირაჟზე სენამ შეძლო დაწინაურება. მიუხედავად ამისა ანდრეა დე ჩეზარისი ფარ-ხმალს არ ჰყრიდა და ჯიუტად იბრძოდა. ეს ლამაზი ორთაბრძოლა იტალიელის „ჯორდანის“ ძრავამ შეწყვიტა... მენსელი და ალეზიც გამოეთიშნენ რბოლას და დისტანციის ბოლო მეტრები სენამ მშვიდად გაიარა.

ახლა აირტონ სენა 22 ქულით უსწრებს ნაიჯელ მენსელს და ძნელი წარმოსადგენია რომ დარჩენილ 5 ეტაპზე დათმობს ამ უპირატესობას.

### აირტონ სენა
(ბრაზილია)



დაიბადა 1960 წლის 21 მარტს სან-პაულუში.

სწორედ რომ კატა-თაგვობანას თამაშს ჰგავს სენას საქციელი წლევანდელ ჩემპიონატში. სტარტზე ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ მან ქულათა იმხელა მარაგი შეიქმნა, რომ შემდგომ ეტაპებზე ყურადღებაც კი მოადუნა. ამით ისარგებლეს მეტოქეებმა, კერძოდ „უილიამსის“ პილოტმა ნაიჯელ მენსელმა და ერთი შეხედვით უზარმაზარი სხვაობა თითქმის მინიმუმამდე შეამცირა. საკმარისი იყო მენსელს კიდევ ერთი ეტაპი მოეგო და ლიდერობასაც იგდებდა ხელთ. მაგრამ სენამ ბოლო ორი „გრან პრის“ მოგებით მყისვე ალადგინა მისთვის სასურველი სტატუს-კვო და ყველაფერი კვლავ თავის ადგილზე დადგა.

შეიძლება ითქვას, რომ ბელგიის ჩქაროსნული ტრასა ბრაზილიელი პილოტისათვის ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერია. მან აქ უკვე მეხუთედ გაიმარჯვა. ეს ასევე მეხუთე (ზედიზედ) ტრიუმფია „მაკლარენისთვის“.

სპა-ფრანკოშამპში წარმატება „მაკლარენის“ პილოტებისათვის წლეულს მეორე „დუბლი“ იყო. აღსანიშნავია, რომ სამი წლის წინ ამ გუნდმა (მაშინ სენასთან ერთად ალენ პროსტი გამოდიოდა) ფანტასტიკურ შედეგს მიაღწია — მას ანგარიშზე 10 ასეთი ორმაგი გამარჯვება ჰქონდა.

სადღეისოდ აირტონ სენას აქტივშია 32 მოგებული „გრან პრი“ 121 რბოლიდან და 466 ქულა.



ხენა კვლავ პირველი მივიდა ფინიშთან.

რეიტერ-საკდეს-საქინფორმის ფოტოქრონიკა

ბელგიის „გრან პრის“ შედეგები. 26 აგვისტო. „სპა-ფრანკოშამპის“ ტრასა (44 წრე — 306,36 კმ). ერთი წრის გავლის საუკეთესო დრო: რობერტო მორენო — 1.55,161 (216,948 კმ/სთ).

1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენი“) — 1:27.17,669; 2. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენი“) — ჩამორჩა 1,901; 3. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონი“) — 32,176; 4. რობერტო მორენო (ბრაზილია, „ბენეტონი“) — 37,310; 5. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამსი“) — 57,187; 6. მარკ ბლანდელი (დიდი ბრიტანეთი, „ბრებჰემი“) — 1.40,085.

საერთო ჩათვლა. კონსტრუქტორები: 1.მაკლარენი — 99; 2. უილიამსი — 83; 3. ფერარი — 35; 4. ბენეტონი — 30; 5. ჯორდანი — 13; 6. ტირელი — 11; 7. დალარა — 5; 8-9. მინარდი, ლოტუსი — 3-3; 10. ლოლა — 2.

ზურაბ ინასარიძე

|  | | | აშშ | ბრაზილია | სან-მარინო | მონაკო | კანადა | მექსიკა | საფრანგეთი | ინგლისი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | პორტუგალია | ესპანეთი | იაპონია | ავსტრალია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აირტონ სენა<br>ბრაზილია | მაკლარენი | 10 | 10 | 10 | 10 | — | 4 | 4 | 3 | — | 10 | 10 | | | | | | 71 |
| 2 | ნაიჯელ მენსელი<br>დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | — | — | — | 6 | 1 | 6 | 10 | 10 | 10 | 6 | — | | | | | | 49 |
| 3 | რიკარდო პატრეზე<br>იტალია | უილიამსი | — | 6 | — | — | 4 | 10 | 2 | — | 6 | 4 | 2 | | | | | | 34 |
| 4 | გერჰარდ ბერგერი<br>ავსტრია | მაკლარენი | — | 4 | 6 | — | — | — | — | 6 | 3 | 3 | 6 | | | | | | 28 |
| 5 | ნელსონ პიკე<br>ბრაზილია | ბენეტონი | 4 | 2 | — | — | 10 | — | — | 2 | — | — | 4 | | | | | | 22 |
| 6 | ალენ პროსტი<br>საფრანგეთი | ფერარი | 6 | 3 | — | 2 | — | — | 6 | 4 | — | — | — | | | | | | 21 |
| 7 | ჟან ალეზი<br>საფრანგეთი | ფერარი | — | 1 | — | 4 | — | — | 3 | — | 4 | 2 | — | | | | | | 14 |
| 8 | სტეფანო მოდენა<br>იტალია | ტირელი | 3 | — | — | — | 6 | — | — | — | — | — | — | | | | | | 9 |
| 9 | ანდრეა დე ჩეზარისი<br>იტალია | ჯორდანი | — | — | — | — | 3 | 3 | 1 | — | 2 | — | — | | | | | | 9 |
| 10 | რობერტო მორენო<br>ბრაზილია | ბენეტონი | — | — | — | 3 | — | 2 | — | — | — | — | 3 | | | | | | 8 |

## ინგლისი

გასული სეზონი ინგლისის ფეხბურთისთვის რამდენიმე მიზეზის გამო იყო გამორჩეული: ქვეყნის კლუბები ხუთი წლის შესვენების შემდეგ კვლავ დაუშვეს ევროპის საკლუბო ტურნირებზე, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედმა“ თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. გარდა ამისა, წლევანდელი წელი ინგლისის საფეხბურთო ლიგასა და საფეხბურთო ასოციაციას შორის სუპერლიგის გარშემო გამართული არნახული ბრძოლით აღინიშნა.

სუპერლიგის შექმნის იდეა ინგლისის წამყვანმა კლუბებმა ჯერ კიდევ შარშან წამოაყენეს. ისინი თვლიან, რომ ფეხბურთისგან მიღებული შემოსავალი უსამართლოდ ნაწილდება და მოითხოვენ ძლიერმა გუნდებმა უფრო მეტი თანხა მიიღონ. საფეხბურთო ლიგის წინააღმდეგ ბრძოლაში სუპერლიგის ინიციატორ კლუბებს მხარში ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია უდგას. ივლისის დასაწყისში ქალაქ თორქიში ჩატარდა ასოციაციის უმაღლესი ორგანოს — საბჭოს შეკრება, რომელზეც დამტკიცდა სუპერლიგის პროექტი. ამ პროექტის მიხედვით, 1992-93 საფეხბურთო სეზონიდან პირველი ლიგის გუნდები შექმნიან სუპერლიგას, სუპერლიგაში შემავალი გუნდები შემოსავლის უდიდეს ნაწილს მიიღებენ, ხოლო ის გუნდები, რომლებიც ახლა მეორე, მესამე და მეოთხე ლიგებში გამოდიან ფაქტობრივად შემოსავლის წყაროს გარეშე დარჩებიან. გარდა ამისა, ოთხი წლის განმავლობაში სუპერლიგა 18 გუნდამდე უნდა შემცირებულიყო. თორქის შეკრებაზე პირველი ლიგის თხუთმეტმა კლუბმა დაუჭირა მხარი პროექტს, დანარჩენი შვიდი კი მათ მერე შეუერთდა.

სუპერლიგის შექმნის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირის მდივანმა გორდონ ტეილორმა. მან თქვა, რომ სუპერლიგის შექმნა მეორე, მესამე და მეოთხე ლიგების ფეხბურთელებისთვის სამუშაოს დაკარგვას ნიშნავს. „მოთამაშეები საფეხბურთო ასოციაციის გეგმების წინააღმდეგი არიან. თუ სუპერლიგა შეიქმნა, ჩვენ უკიდურეს ზომას — გაფიცვას მივმართავთ“ — ამბობდა ტეილორი.

ივლისში ბრძოლამ თავის კულმინაციას მიაღწია. საფეხბურთო ასოციაცია და პირველი ლიგის გუნდები ამტკიცებდნენ, რომ 18-გუნდიანი სუპერლიგის შექმნა ხელს შეუწყობდა ნაკრების უკეთესად მომზადებას, გაზრდიდა მაყურებლების ინტერესს თამაშების მიმართ, და მოგების მეტ ნაწილს დაუტოვებდა ქვეყნის წამყვან გუნდებს. მოწინააღმდეგე ბანაკი — საფეხბურთო ლიგა და პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირი მცირე კლუბების ინტერესების დამცველებად გვევლინებოდნენ და საფეხბურთო ასოციაციას გაფიცვით ემუქრებოდნენ.

როცა აშკარა გახდა, რომ მოლაპარაკება მხარეებს შორის უშედეგოდ მთავრდებოდა, ხოლო სუპერლიგის პროექტს განხორციელებამდე არაფერი უკლდა, საფეხბურთო ლიგამ საქმეში სასამრთლო ორგანოების ჩარევა გადაწყვიტა. და აი, 31 ივლისს უმაღლესმა სასამართლომ თავისი განაჩენი გამოიტანა. სასამართლოს გადაწყვეტილება საფეხბურთო ლიგისთვის არასახარბიელო აღმოჩნდა: საფეხბურთო ასოციაციას, ნათქვამია დასკვნაში, რომელიც მოსამართლე როუზმა წაიკითხა, უფლება აქვს ნებისმიერი ცვლილება შეიტანოს ინგლისის საფეხბურთო სტრუქტურაში, მათ შორის შექმნას სუპერლიგა, სასამართლოს გადაწყვეტილებამ ფაქტობრივად სამუშაოს გარეშე დატოვა ინგლისის დაბალი ლიგების 72 გუნდის მოთამაშეები, ხოლო საფეხბურთო ლიგას შემოსავლის ძირითადი წყარო წაართვა. სამაგიეროდ, კმაყოფილი დარჩნენ ინგლისის წამყვანი კლუბები, რომელთა მოგებაც რამდენჯერმე გაიზრდება.

სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო კლუბების წარმომადგენლები საპასუხო ზომების მისაღებად აგვისტოს შუა რიცხვებში ნიუკასლში შეიკრიბნენ. რამდენიმე კლუბმა წარმოადგინა ახალი საფეხბურთო ლიგის პროექტი, რომლის მიხედვით მეორე, მესამე და მეოთხე ლიგის გუნდებს უარი უნდა ეთქვათ სუპერლიგაში გადასვლაზე და არც სუპერლიგაში ბოლო ადგილებზე გასული გუნდები მიეღოთ. ამით ისინი იმედოვნებდნენ, რომ სუპერლიგას იზოლაციაში მოაქცევდნენ. გარდა ამისა, დაბალი ლიგების გუნდებს უარი უნდა ეთქვათ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თასზე მონაწილეობის მიღებაზე, აგრეთვე ეთხოვათ უეფა-სთვის, რომ არ ელიარებინა სუპერლიგა და ევროპის საკლუბო ტურნირებზე ამჟამინდელ მეორე ლიგაში გამარჯვებული გუნდები დაეშვა. ამ ფანტასტიკურმა პროექტმა, რომლის ძირითადი მომხრე „სანდერლენდი“ იყო, მეორე ლიგის სხვა გუნდების უკმაყოფილება გამოიწვია. მაგალითად, „ნიუკასლ იუნაიტედის“ პრეზიდენტმა თქვა: „მე გაოცებული ვარ. ამ გეგმას ვერ დავეთანხმები. ჩვენ ვალდებული ვართ შევინარჩუნოთ კავშირი პირველ ლიგასთან. ჩვენი გუნდი ყოველთვის ოცნებობდა პირველ ლიგაში გადასვლაზე“. ამავე აზრისა იყო „მიდლზბოროს“ პრეზიდენტი, რომელმაც არ დამალა, რომ მისი გუნდი პირველ ლიგას უმიზნებს და ამგვარად, იზოლიაციის წინააღმდეგია.

მთავარი ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა: სუპერლიგის შექმნამდე ერთი წელია დარჩენილი, მეორე, მესამე და მეოთხე ლიგის კლუბები კი გულხელდაკრეფით ჯდომას არ აპირებენ. მათი წინააღმდეგობის მიუხედავად, უკვე აშკარაა, რომ გამარჯვება სუპერლიგის მომხრეებს დარჩებათ და მიმდინარე საფეხბურთო სეზონი ბოლო იქნება ინგლისის საფეხბურთო ლიგისთვის, ისეთი სახით, როგორითაც ის ამჟამად არსებობს.

სუპერლიგის ირგვლივ გაჩაღებულმა კამათმა ჩრდილში მოაქცია ფეხბურთელების ტრადიციული საზაფხულო „ბაზარი“. წელს ბრიტანეთი ინგლისის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა. ტრევორ სტივენი გლაზგოს „რეინჯერსიდან“ საფრანგეთის „მარსელში“ გადავიდა, ხოლო „ასტონ ვილას“ ფეხბურთელი დეივიდ პლეტი იტალიის „ბარიმ“ შეიძინა. გარდა ამისა, გადაწყდა, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მოთამაშე პოლ გესქოინი იტალიის „ლაციოში“ ითამაშებს, ოღონდ მომავალი სეზონიდან, როცა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თასის ფინალში მიღებული ტრავმისგან განიკურნება და მოედანზე გამოსვლას შეძლებს.

„ასტონ ვილა“ პლეტის გარდა კიდევ ერთმა ცნობილმა ფეხბურთელმა, ირლანდიის ნაკრების მოთამაშემ ტონი კასკარინომ დატოვა. კასკარინო მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა გლაზგოს „სელტიკმა“. სამაგიეროდ „ასტონ ვილამ“, რომელსაც ახალი მწვრთნელი რონ ატკინსონი ხელმძღვანელობს, რვა ახალი ფეხბურთელი იყიდა, მათ შორის ირლანდიელი სტივ სტონტონი („ლივერპული“), კევინ რიჩარდსონი და დეილიან ატკინსონი (ორივე — საე-სებასტიანის „რეალი“). „ასტონ ვილამ“ ახლადშეძენილ ფეხბურთელებში 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი დახარჯა. წლევანდელი რეკორდი კი „ლივერპულს“ ეკუთვნის — კლუბმა ექვს მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი გაიღო. აღსანიშნავია, რომ „ლივერპულმა“ მხოლოდ სამი ფეხბურთელი იყიდა. ესენია თავიანთი ეროვნული ნაკრების წევრები — უელსელი დინ სონდერსი და ინგლისელი მარკ რაითი (ორივე „დერბი ქაუნთიდან“), აგრეთვე მარკ უოლტერსი (გლაზგოს „რეინჯერსიდან“). „ლივერპულიდან“ „ევერტონში“ გადავიდა ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი პიტერ ბირდსლი, ხოლო მეორე ლიგის „ბლექბერნში“ — დეივიდ სპიდი.

თასების თასის მფლობელმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ იყიდა დანიის ნაკრების მეკარე პეტერ შმეიხელი („ბრონდბიუ“) და ინგლისის ნაკრების მცველი პოლ პარკერი („ქუინზ პარკ რეინჯერსი“). ინგლისის ჩემპიონი „არსენალი“ ქვეყნის წამყვან გუნდებს შორის ერთადერთი აღმოჩნდა, რომელსაც ზაფხულში რამდენადმე მნიშვნელოვანი შენაძენი არ გაუკეთებია. „არსენალმა“ პირველ ტურში ბოლო წუთზე გადარჩენილი მატჩის შემდეგ ორი შეხვედრა წააგო და აუტსაიდერთა შორის იმყოფება. ჯერჯერობით საკმაოდ უფერულად გამოიყურება „ლივერპულიც“, რომელსაც ტრავმის გამო რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლია — რაში, ბარნსი, რაითი.

„სარბიელის“ წინა ნომერში პირველი ტურის შედეგები გაგაცანით. ახლა გთავაზობთ დანარჩენი უკვე ჩატარებული ტურების შედეგებს. **მეორე ტური: „ევერტონი“ — „არსენალი“ 3:1, „ლიდსი“ — „ნოტინგემი“ 1:0, „ნოთს ქაუნთი“ — „საუთჰემპტონი“ 1:0, „შეფილდ იუნაიტედი“ — „ვესტ ჰემი“ 1:1, „ასტონ ვილა“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 0:1, „კოვენტრი“ — „ლუტონი“ 5:0, „მანჩესტერ სიტი“ — „ლივერპული“ 2:1, „ოულდემი“ — „ჩელსი“ 3:0, „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ — „ნორიჩი“ 0:2. მესამე ტური: „ასტონ ვილა“ — „არსენალი“ 3:1, „ევერტონი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 0:0, „ლიდსი“ — „შეფილდ უენზდეი“ 1:1, „ლუტონი“ — „ლივერპული“ 0:0, „მანჩესტერ სიტი“ — „კრისტალი“ 3:2, „ნოთს ქაუნთი“ — „ნოტინგემი“ 0:4, „ოულდემი“ — „ნორიჩი“ 2:2, „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ — „კოვენტრი“ 1:1, „შეფილდ იუნაიტედი“ — „საუთჰემპტონი“ 0:2, „ტოტენჰემი“ — „ჩელსი“ 1:3, „უიმბლდონი“ — „ვესტ ჰემი“ 2:0. მეოთხე ტური: „არსენალი“ — „ლუტონი“ 2:0, „კრისტალი“ — „უიმბლდონი“ 3:2, „ლივერპული“ — „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ 1:0, „ჩელსი“ — „ნოთს ქაუნთი“ 2:2, „კოვენტრი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 3:1, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ოულდემი“ 1:0, „ნორიჩი“ — „მანჩესტერ სიტი“ 0:0, „ნოტინგემი“ — „ტოტენჰემი“ 1:3, „შეფილდ უენზდეი“ — „ევერტონი“ 2:1, „საუთჰემპტონი“ — „ლიდსი“ 0:4, „ვესტ ჰემი“ — „ასტონ ვილა“ 3:1.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მანჩესტერ იუნ.“ | 4 | 3 | 1 | 0 | 4-0 | 10 |
| „მანჩესტერ სიტი“ | 4 | 3 | 1 | 0 | 6-3 | 10 |
| „კოვენტრი“ | 4 | 2 | 1 | 1 | 9-3 | 7 |
| „ლიდსი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| „ლივერპული“ | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |

## საფრანგეთი

ქვეყნის ჩემპიონატის მე-7 ტურის მატჩში ჩემპიონის „მარსელის“ ფორმა პირველად ჩაიცვა ინგლისის ნაკრების ფეხბურთელმა ტრევორ სტივენმა, რომელიც „მარსელმა“ გლაზგოს „რეინჯერსისგან“ შეიძინა. ამ შეხვედრაში „მარსელმა“ მოუგო „ნიმს“ 4:2. გოლები გამარჯვებულთაგან გაიტანეს დეშანმა, პელემ (2) და პაპენმა (პენალტით) სტივენმა შესანიშნავად ითამაშა. ოთხიდან სამი გოლი მის მიერ დაწყებული კომბინაციის შედეგად გავიდა.

„მონაკოს“ საკმაოდ გაუჭირდა შინ „ლილის“ წინააღმდეგობის დაძლევა 1:0. ერთადერთი გოლი გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა, ლიბერიელმა ჟორჟ ვეამ 87-ე წუთზე გაიტანა.

კიდევ ერთი ლიდერი „მეცი“ „ნანტმა“ გაანადგურა 4:1. კვლავ დაუმარცხებლად ასპარეზობს „პარი სენ-ჟერმენი“, რომელმაც ფრედ (1:1) დაამთავრა მატჩი კანში ადგილობრივ გუნდთან. ორივე გოლი უცხოელმა ფეხბურთელმა გაიტანა: ალჟირელმა ზიდანმა („კანი“) და ბრაზილიელმა რიკარდუმ („სენ-ჟერმენი“).

მატჩის ბოლო წუთები ძალზე დაძაბულ და უხეშ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მსაჯმა მოედნიდან სამი კანელი და ერთი პარიზელი ფეხბურთელი გააძევა.

**მე-7 ტურის სხვა მატჩები: „ლანსი“ — „სენტ-ეტიენი“ 1:1, „ოსერი“ — „ტულუზა“ 3:0, „ლე ავრი“ — „სოშო“ 1:0, „ნანსი“ — „ტულონი“ 0:0, „ლიონი“ — „კაენი“ 2:2, „მონპელიე“ — „რენი“ 0:0. მე-8 ტური: „ნიმი“ — „კანი“ 2:1, „სოშო“ — „მონაკო“ 1:3 (ჟორჟ ვეამ 2 გოლი გაიტანა და 9 ბურთით სათავეში ჩაუდგა ბომბარდირთა სიას), „ტულუზა“ — „ნანტი“ 2:1, „სენტ-ეტიენი“ — „ოსერი“ 1:1, „ლილი“ — „ლიონი“ 1:0, „პარი სენ-ჟერმენი“ — „ნანსი“ 1:0, „რენი“ — „ლანსი“ 0:0, „ტულონი“ — „მარსელი“ 1:0 (ჩემპიონის პირველი მარცხი), „კაენი“ — „ლე ავრი“ 2:1. მატჩი „მეცი“ — „მონპელიე“ დღეს ჩატარდება.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მონაკო“ | 8 | 7 | 0 | 1 | 18-7 | 14 |
| „მარსელი“ | 8 | 5 | 2 | 1 | 13-6 | 12 |
| „მეცი“ | 7 | 5 | 0 | 2 | 14-8 | 10 |
| „ნანტი“ | 8 | 4 | 2 | 2 | 10-6 | 10 |
| „სენ-ჟერმენი“ | 8 | 2 | 6 | 0 | 8-5 | 10 |

## გერმანია

**მე-5 ტური. „კაიზერსლაუტერნი“ — „ჰამბურგი“ 0:0, „კიოლნი“ — „აინტრახტი“ 1:1, „დინამო“ — „ბაიერნი“ 0:2, „შალკე“ — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 5:2, „ფორტუნა“ — „შტუტგარტი“ 0:3, „ჰანზა“ — „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) 2:1, „ვერდერი“ — „ვატენშაიდი“ 2:2, „კარლსრუე“ — „ბაიერი“ 0:0. მე-6 ტური: „ჰამბურგი“ — „კიკერსი“ 0:3, „აინტრახტი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 2:0, „ნიურნბერგი“ — „კიოლნი“ 4:0, „ბაიერნი“ — „ბოხუმი“ 0:2, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „დინამო“ 4:0, „შტუტგარტი“ — „შალკე“ 1:0, „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) — „ფორტუნა“ 3:1, „ვატენშაიდი“ — „ჰანზა“ 0:0, „ბაიერი“ — „ვერდერი“ 0:0, „დუისბურგი“ — „კარლსრუე“ 6:2.**

დიუსელდორფის „ფორტუნას“ ზედიზედ მეექვსე დამარცხების შემდეგ მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს ავსტრიელი იოზეფ ჰიკერსბერ-გერი. „ფორტუნამ“ რეკორდი დაამყარა: ჩემპიონატის პირველი ექვსი მატჩი ბუნდესლიგის შექმნიდან ჯერ არცერთ გუნდს არ წაუგია. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ ვინ დაიკავებს ჰიკერსბერგერის ადგილს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „აინტრახტი“ | 6 | 4 | 1 | 1 | 13-5 | 9 |
| „ჰანზა“ | 6 | 4 | 1 | 1 | 13-6 | 9 |
| „შტუტგარტი“ | 6 | 4 | 1 | 1 | 9-2 | 9 |
| „ბაიერი“ | 6 | 3 | 2 | 1 | 4-4 | 8 |
| „ბაიერნი“ | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 7 |

## ევროპის ჩემპიონატი

### III ჯგუფი

ნორვეგია—სსრკ 0:1

სსრკ ნაკრებმა ერთადერთი გოლი შეხვედრის 74-ე წუთზე გაიტანა: მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ მოედანზე მეორე ტაიმში გამოსულმა ალექსანდრ მოსტოვოიმ ახლო მანძილიდან დაარტყა მეკარე ტორსტვედტის კარში. ნორვეგიელ ფეხბურთელებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლეს.

სსრკ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გასვლის საუკეთესო შესაძლებლობა გაუჩნდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრკ | 5 | 4 | 1 | 0 | 8-0 | 9 |
| ნორვეგია | 6 | 3 | 1 | 2 | 8-4 | 7 |
| იტალია | 5 | 2 | 2 | 1 | 9-4 | 6 |
| უნგრეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-7 | 6 |
| ალბანეთი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-20 | 0 |


L'umanitte
ჟან-ლუკ ეტორი

## მეთერთმეტე

ჟან-ლუკ ეტორი მეთერთმეტე ფრანგი ფეხბურთელია, ვინც ეროვნული ჩემპიონატის პირველ დივიზიონში 500 მატჩი ჩაატარა.

იუბილარი 1955 წლის 29 ივლისს მარსელში დაიბადა. მაგრამ თავისი პროფესიული კარიერის დასაწყისიდანვე — 1975 წლიდან „მონაკოს“ ღირსებას იცავს. ბოლო წლებში კი გუნდის უცვლელი კაპიტანიც არის.

ეტორის დებიუტი პირველ დივიზიონში იმავე 1975 წლის 21 დეკემბერს შედგა ბორდოში. მიუხედავად ამისა, რომ ეტორი არ გამოირჩევა თანამედროვე მეკარეებისთვის დამახასიათებელი ათლეტური მონაცემებით (სიმაღლე — 175 სმ; წონა — 75 კგ), მან კარგი რეაქციისა და დიდი შრომისმოყვარეობის წყალობით საიმედო მეკარის ავტორიტეტი დაიმსახურა. ეტორი სამჯერ იყო საფრანგეთის ჩემპიონი (1978, 1982, 1988) და ამდენჯერვე ქვეყნის თასის მფლობელი (1980, 1985, 1991). 1982 წელს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ითამაშა.

აი, იმ ათი ფეხბურთელის ვინაობაც, ვინც საფრანგეთის პირველ საფეხბურთო დივიზიონში ეტორიმდე გადალახა 500 მატჩიანი ზღვარი: დომინიკ დროპსი (596), დომინიკ ბარატელი (593), ალენ ჟირესი (586), ანრი მიშელი (532), ჟან-პოლ ბერტრან დემანი (532), რობერ ჟონკე (520), პატრიკ რიო (509), ლუკ ამისი (503), ალბერ რუსტი (502), მაქსიმ ბოსისი (502).

საინტერესოა, რომ ამ ათი ფეხბურთელიდან ოთხი (დროპსი, ბარატელი, ბერტრან დემანი, რუსტი), ეტორის მსგავსად მეკარეა.

## „ვისლა“ გაყიდეს

პრივატიზაცია, რომელიც პოლონეთში ძალას იკრებს, სპორტსაც შეეხო, კერძოდ ფეხბურთს. ქვეყნის პირველი კერძო კლუბი გახდა კრაკოვის „ვისლა“. დღეს მისი პატრონია ქალაქში ცნობილი ბიზნესმენი პეტრ ფოიგტი, რომელიც ადრე კლუბის ვიცეპრეზიდენტი იყო. კონტრაქტში ნათქვამია, რომ გუნდი მის სახელს არ დაირქმევს და მისი სრული საკუთრება არ გახდება. გუნდის მფლობელის უფლებები ერთგვარად შეზღუდულია. ფოიგტმა უნდა განსაზღვროს ფეხბურთელთა და მწვრთნელთა ხელფასები და პრემიები, მოაგვაროს ტრანსფერის, რეკლამის, აბონიმენტების და ბილეთების რეალიზაციის საკითხები, აკონტროლოს ფინანსური ოპერაციები, თუმცა თანხა, რომელიც პატრონმა გუნდის შესაძენად გადაიხადა ჯერჯერობით საიდუმლოა.

## ახლა ერნეშტუ პაულუ

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად ერნეშტუ პაულუ დანიშნა. ერნეშტუ პაულუს, რომელიც ამავე დროს „ბოტაფოგუს“ მწვრთნელიცაა, დაევალა ნაკრების მომზადება 11 სექტემბერს უელსის ნაკრებთან დანიშნული მატჩისთვის.

## განელები ფინალში

ჩვიდმეტ წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში განის გუნდმა კატარის ნაკრებს სძლია პენალტებით 4:2 (ძირითადი დრო 0:0). ესპანელებმა კი არგენტინელებს აჯობეს 1:0. ხვალ ფლორენციაში, ფინალში განელები და ესპანელები ითამაშებენ.





## თუ კაცი მოინდომებს მიუღწევდომელი არაფერია!

ჩვენი ინდექსია 66441

1 თვე — 1 მან. 73 კაპ. 3 თვე — 5 მან. 19 კაპ.
6 თვე — 10 მან. 32 კაპ. 12 თვე — 20 მან. 76 კაპ.

## გამოიწერეთ!


# ჰოკეის სამშობლოში „კანადის თასისთვის“

წლის უმნიშვნელოვანესი ტურნირი ჰოკეიში „კანადის თასის“ მორიგი გათამაშება ხვალ, 31 აგვისტოს დაიწყება. მატჩები კანადასა და აშშ-ის რვა ქალაქში ჩატარდება. ტურნირში ექვსი გუნდი — შვეციის, სსრკ-ის, ჩეხეთსლოვაკეთის, ფინეთის, აშშ-ისა და კანადის ნაკრები გამოვა. გთავაზობთ შეჯიბრების კალენდარს:

| | |
|---|---|
| 31 აგვისტო. | სსრკ — ჩეხეთსლოვაკეთი (ქ. სასკატუნი) |
| | შვეცია — აშშ (პიტსბურგი) |
| | კანადა — ფინეთი (ტორონტო) |
| 2 სექტემბერი. | კანადა — აშშ (ჰამილტონი) |
| | სსრკ — შვეცია (მონრეალი) |
| | ჩეხეთსლოვაკეთი — ფინეთი (სასკატუნი) |
| 5 სექტემბერი. | კანადა — შვეცია (ტორონტო) |
| | სსრკ — ფინეთი (ჰამილტონი) |
| | ჩეხეთსლოვაკეთი — აშშ (დეტროიტი) |
| 7 სექტემბერი. | კანადა — ჩეხეთსლოვაკეთი (მონრეალი) |
| | სსრკ — აშშ (ჩიკაგო) |
| | შვეცია — ფინეთი (ტორონტო) |
| 9 სექტემბერი. | კანადა — სსრკ (კვებეკი) |
| | ჩეხეთსლოვაკეთი — შვეცია (ტორონტო) |
| | ფინეთი — აშშ (ჩიკაგო) |

ერთწრიანი ტურნირის შედეგად პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდები იასპარეზებენ ნახევარფინალში. აქ გამარჯვებულნი კი ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს. თუ რომელიმე ფინალისტმა შესძლო პირველი ორი მატჩის მოგება, მესამე აღარ ჩატარდება.

11 სექტემბერი. ნახევარფინალი № 1 (ჰამილტონი)
12 სექტემბერი. ნახევარფინალი № 2 (ტორონტო)
14 სექტემბერი. ფინალი № 1 (მონრეალი)
16 სექტემბერი. ფინალი № 2 (ჰამილტონი)
18 სექტემბერი. ფინალი № 3 (ჰამილტონი)


Sports Illustrated

# ლამაზია, მაგრამ საშიში

ამერიკული ფეხბურთი მსოფლიოში სულ ახალ და ახალ რეგიონებს იპყრობს. ასეთი პოპულარობის მიზეზი, როგორც ჩანს, სპორტის ამ სახეობის სანახაობრივ მხარეშია. მას ხშირად ნამდვილ მამაკაცურ სპორტს უწოდებენ, რომელშიც ხშირია ძალისმიერი კონტაქტი, რაც განსაკუთრებით იზიდავს მაყურებელს. იმავდროულად, ამერიკული ფეხბურთისთვის დამახასიათებელია უხეშობა, ხანდახან კი სისასტიკეც. სწორედ ამასთან არის დაკავშირებული მედლის მეორე მხარე — ტრამვები, რაც პუბლიკისათვის კადრს მიღმა რჩება.

ამიტომ იაპონიაში სულ უფრო იზრდება შეშფოთება: იმატა ტრამვების რიცხვმა, რაც ხანდახან სიკვდილით მთავრდება. ამერიკული ფეხბურთის იაპონიის ასოციაციამ ამ საკითხის ირგვლივ მოაწყო საერთოეროვნული გამოკითხვა. სურათი სახარბიელო არ გამოდგა. 1981 — 1991 წლებში, ყოველწლიურად, საშუალოდ 2,7 იაპონელი იღუპებოდა, კისრისა და თავის ტრავმებით.

თუმცა „იაპონური“ ამერიკული ფეხბურთის მესვეურები ამტკიცებენ, რომ ამ მხრივ მათი საქმე გაცილებით უკეთ არის ვიდრე აშშ-ში, სადაც იგივე მაჩვენებელი 7,9 ადამიანს შეადგენს. იაპონური გაზეთი „ასახი“, რომელმაც თავისი გამოკვლევა ჩაატარა, ამტკიცებს, რომ საქმე სხვაგვარად არის. საკმარისია ასეთი ფაქტის აღება: იაპონიაში ამერიკული ფეხბურთის მოთამაშეთა რიცხვი 20 ათასს აღწევს, მაშინ, როდესაც შტატებში იგი 1,57 მილიონ ადამიანს უდრის. ამგვარად, პროცენტულად სიკვდილიანობა იაპონიაში უფრო მაღალია ვიდრე აშშ-ში.

„ასახის“ მიმომხილველთა აზრით ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია იაპონელ ფეხბურთელთა ცუდი ფიზიკური მომზადებით, ნორმალური სამედიცინო კონტროლის არ არსებობით, სათამაშო მინდვრების დაბალი ხარისხით და ფეხბურთელთა დამცველი აღჭურვილობის ნაკლებობით.



## გარასტასი ევროპაში მიდის

კაუნასის „ჟალგირისისა“ და სსრკ ვეთა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, კალათბურთის ცნობილი სპეციალისტი, ვლადას გარასტასი ახალ სეზონს ჩეხეთსლოვაკეთის ქალაქ პრიევიძას კლუბ „ბანიკში“ იწყებს. ეს გუნდი, რომელთანაც კონტრაქტი აქვს სახელგანთქმულ ლიტველ მწვრთნელს, ქვეყნის ბრინჯაოს პრიზიორია და წელს კორაჩის თასზე გამოვა. კონტრაქტი ოთხთვიანია და იგი დეკემბრამდეა ძალაში. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი არ გრძელდება გარასტასს საშუალება ექნება ისარგებლოს სტამბოლის ცნობილი კლუბის „გალათასარაის“ წინადადებით, სადაც მას წელიწადში 40 ათას დოლარს და პრემიებს ჰპირდებიან.

# ფილატელია — ოლიმპიადას

ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებამდე კარგა დიდი დროა, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების საფოსტო სამსახურმა უკვე დაიწყო ამ დიდი სპორტული ფორუმისადმი მიძღვნილი მარკების გამოშვება. პირველი სერიის მარკებზე გასული ოლიმპიადების გმირები არიან გამოსახული. ხუთი 25 ცენტიანი მინიატურა ფილატელისტებსა და სპორტის მოყვარულებს შეახსენებს ბერლინის 1936 წლის თამაშების ოთხგზის ჩემპიონს, „შავ ელვად“ მონათლულ ჯესი ოუენსსა და კიდევ ერთ მძლეოსანს — რეი იურის, რომელმაც საუკუნის დამდეგს გამართულ თამაშებში 8 ოქროს მედალი მოიპოვა. ერთ მარკაზე აღბეჭდილია ედი იგენი, ერთადერთი სპორტსმენი, რომელმაც ზაფხულის თამაშებშიც გაიმარჯვა (კრივი) და ზამთრისაშიც (ბობსლეი). დანარჩენი ორი მარკა სპორტსმენ ქალებს ეძღვნება. ერთზე 1932 წლის თამაშების სამგზის ჩემპიონი (ცურვაში) ელინ მედისონია გამოსახული, მეორეზე კი — 20-იანი წლების წამყვანი ჩოგბურთელი ჰეზელ როტმენი.

## აქეთური, იქითური...

ხორვატიის რესპუბლიკა, რომელმაც სულ ახლახან გამოაცხადა ჯამბაზმორთონეთა მურეთა დამოუკიდებელი კავშირის დაარსება, აპირებს იუგოსლავიის ნაკრებისგან დამოუკიდებლად გამოვიდეს მსოფლიო თასის გათამაშების ახალ ციკლში. ხორვატია, რომელიც მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო—დასავლეთით, გუნდს ყოველთვის ნიჭიერ სპორტსმენებს აწვდიდა და ეს ფაქტი იუგოსლავიის ნაკრებს საგრძნობლად დაასუსტებს. იუგოსლავიის ნაკრებს კი საერთაშორისო სარბიელზე საკმაოდ მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა.

■ ■ ■

წელს, პირველი ივლისიდან ყველა ესპანური პროფესიული კლუბი სააქციონერო საზოგადოებად იქცა. ამან ხელი უნდა შეუწყოს ფინანსური ქაოსის მოწესრიგებას, პირველ რიგში სადვეხბურთო კლუბებში. წინასწარი მონაცემებით, ესპანეთის პროფესიულ ფეხბურთს დაუგროვდა 36 მილიარდი პესეტა (576 მილიონი გერმანული მარკა) ვალი, რომელიც ქვეყნის ფეხბურთის კავშირმა თავის თავზე აიღო, იმ პირობით, რომ 1992 წლამდე კლუბები გადაიხდიან ყველა სახის დავალიანებას.

■ ■ ■

ერაყის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ სურს სპორტული დელეგაციის გაგზავნა ოლიმპიადა-92-ში მონაწილეობის მისაღებად და ოფიციალური განაცხადი გაუგზავნა სოკ-ს. პასუხად სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა ხელი მოაწერა ერაყის მოწვევას და აღნიშნა, რომ მის ორგანიზაციას ერაყის მიმართ სანქციები არ მიუღია, თუმცა რეგიონალური ოლიმპიური კომიტეტი ამას დაჟინებით მოითხოვდა.

■ ■ ■

უშუ-ს საერთაშორისო ფედერაცია შარშან შეიქმნა, მაგრამ უკვე მოასწრო სპორტის ამ სახეობისათვის დიდი პროპაგანდის გაწევა. კერძოდ, 12 ოქტომბერს ჩინეთის დედაქალაქ პეკინში დაიწყება მსოფლიო პირველი ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობის სურვილი 30-მა ქვეყანამ გამოთქვა. ჩინეთში, რომელიც უშუს სამშობლოა, მომავალი ზეიმისთვის საგანგებოდ ემზადებიან. სპორტსმენებს და სტუმრებს შეუქმნიან შეჯიბრებისა და დასვენების საუკეთესო პირობებს.

■ ■ ■

გერმანიის ჰოკეის ასოციაციამ დაასახელა ორი ქალაქი, მიუნხენი და დიუსელდორფი, სადაც 1993 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები ჩატარდება. ამ ქალაქების სპორტული ბაზები უმაღლეს მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. რაც შეეხება მესამე ქალაქს, მას მოგვიანებით დაასახელებენ რადგან კიოლნს და დორტმუნდს კიდევ მოუწევთ ჰოკეის ფედერაციის რიგი მოთხოვნების შესრულება. ამ ორი ქალაქიდან ერთს აირჩევენ.

■ ■ ■

იაპონიის ელექტრონულმა ფირმამ JVC-მ, რომელიც იუნიორ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატების სპონსორია (1987 წელი კანადა და 1989 წელი შოტლანდია), განაახლა ფიფას-თან თანამშრომლობის კონტრაქტი. ფირმა მას ფინანსურად დაეხმარება 1991 წლის (ეკვადორი) და 1993 წლის (იაპონია) ჩემპიონატების მოწყობაში.

■ ■ ■

ამერიკის პირველმა ყოველდღიურმა სპორტულმა გაზეთმა „ნეშნლ“ მხოლოდ ერთი წელი იარსება. მისი პირველი ნომერი გამოვიდა გასული წლის დასაწყისში, მაგრამ ვერ გაუძლო ცნობილ გამოცემებთან კონკურენციას და ასტრონომიულ ვალში ჩავარდა. 100 მილიონი დოლარი — ასეთია ვალი. გაზეთმა არსებობა შეწყვიტა.

აქეთური, იქითური...


PALAVANI • ΠΑΛΑΒΑΗИ
ფალავანი

## „სარბიელის“ სპონსორია ასოციაცია „ფალავანი“



გამოდის პარასკეობით
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.30.
გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია.
ტელეფონი: 38-39-93.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელ. პუპა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ჭულუხაძე.